პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 104 (14708)

5 მაისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი-ვადამდე!

ნობათები სამშობლოს

● **რუსთავი.** გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა ნაგლინი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სორტული ნაგლინის საამქროს № 4 ცვლის კოლექტივმა ამ წარმატებას ოთხ თვეში მიაღწია. ეს სარეკორდო შედეგია სამამულო მეტალურგიაში.

● **თბილისი.** ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა საპირველმაისო დღესასწაულს. აქ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 164 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 160 ათასი მანეთის ნაწარმი, მიღებულია 99 ათასი მანეთი მოგება.

● **ბათუმი.** ოთხი თვის გეგმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს იგრეთვე ბათუმელმა მკერავებმა. გამოშვებულია 20 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, დაზოგილია 10 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი.

● **ჭიათურა.** მაისის ანგარიშში უკვე ამოღებულია ათასობით ტონა მადანი — გვიპატაკებენ ჭიათურის მარგანტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს მშრომელები. ყოველდღიურად ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან საწარმოო უბნები, რომლებსაც ა. ღუღუნიშვილი, გ. ჭუმბურიძე, შ. კაპანაძე ხელმძღვანელობენ.

5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა

მოგილოცავთ, თანამოქალაქენო!

მილიონთა ტრიბუნა

მაისი დღესასწაულების თვეა, და ამ დღესასწაულებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს 5 მაისს — საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს.

ჩვენი პრესა მილიონთა ტრიბუნაა, საზოგადოებრივი აზრის უმაგალითო პროჟექტორია. იგი მთლიანად ხალხს, მის გეგმებსა და ინტერესებს ემსახურება. აი რატომ არის, რომ ამ დღეს საბჭოთა ადამიანები დიდი ზეიმით ეგებებიან.

მეტად რთული, მაგრამ სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო ბოლშევიკურმა პრესამ. ლენინურ ტრადიციებზე აღზრდილი და დავაჟკაცებული, იგი სულ უფრო და უფრო ვითარდება, მტკიცდება. დღეს იგი გახდა უფრო მდიდარი, უფრო ნათელი შინაარსობრივად, გადაიქცა ხალხის აუცილებელ, ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დიდი სიყვარულითა და ზეიმით აღნიშნა მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ, კიდევ ერთი დიდი გამოცდა იყო ჩვენი პრესისათვის. და მან ეს გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.

ლენინური იდეები ყოველთვის განსაზღვრავდნენ საბჭოთა ჟურნალისტების მოღვაწეობას. თვით დრო, XX საუკუნის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილება, ორ სხვადასხვა სოციალურ სისტემას შორის გამწვავებული იდეური ბრძოლა კიდევ უფრო ადასტურებენ ჩვენი პრესის მუშაობაში ლენინური პრინციპების აქტუალობასა და მნიშვნელობას.

დიახ, ლენინის მიხედვით ამოწმებენ თავიანთ ნაბიჯებს საბჭოთა ჟურნალისტები. ლენინურ იდეებსა და დანაბარებში პოულობენ ისინი ძალასა და შემართებას.

მგზნებარე, მართალი ბეჭდვითი სიტყვა იყო და არის საბჭოთა ადამიანების მუდმივი თანამგზავრი შრომის, ბრძოლის, შემოქმედების, ცხოვრების ყველა უბანზე. ამჟამად საბჭოთა ადამიანები პრესის ტრადიციულ დღეს აღნიშნავენ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 25 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის წინადღეებში. სწორედ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში — მრისხანე საბრძოლო გამოცდის დღეებში ჩვენი პრესა აღაფრთოვანებდა საბჭოთა არმიის მეომრებს, მთელ ხალხს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში, მიუთითებდა გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე, ეხმარებოდა ჩვენს არმიას ყოფილიყო უფრო დისციპლინიანი, უფრო ძლიერი. საფრონტო გაზეთების ბევრი თანამშრომელი გმირის სიკვდილით დაეცა ომში.

ომისშემდგომ წლებში კვლავ ნათლად იჩინა თავი საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების არა მარტო სააგიტაციო-პროპაგანდისტულმა, არამედ ამასთან დიდმა ორგანიზატორულმა უნარმაც.

რაშია ჩვენი პრესის ძალა, მისი ქმედითობა, მიზანსწრაფულობა?

როგორც ხეს თავისი ფესვებით მიწიდან ამოაქვს მაცოცხლებელი წვენი, ისე თვითეულ გაზეთს თუ ჟურნალს ჰკვებავს, ძალას აძლევს მასებთან კავშირი. ხალხურობის ლენინური პრინციპის განხორციელებას, პრესის მასობრიობას პარტია მუდამ ანიჭებდა და ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ჟურნალ-გაზეთების ავტორთა რიცხვი. უხვი გახდა სარედაქციო ფოსტა. არ არსებობს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რასაც არ ეხმაურებოდნენ, თავიანთ აზრს არ გამოთქვამდნენ მკითხველები, მშრომელთა მასები. და სწორედ ეს არის ნამდვილი, შემოქმედებითი თანამშრომლობა. რესპუბლიკის ბევრი საქალაქო და რაიონული გაზეთის რედაქციამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააფართოვა ეს თანამშრომლობა, გაამდიდრა ახალი ფორმებით. ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, ზუგდიდის, ქობულეთის, გეგეჭკორის, თელავის, წყალტუბოს, ლაგოდეხის და სხვა რაიონული გაზეთების რედაქციებმა დიდად გააფართოეს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ქსელი, გაზარდეს რედაქციებში შემოსული წერილების ნაკადი. ბევრ რედაქციასთან შექმნილია საზოგადოებრივი განყოფილებები, რომელთა ნაყოფიერი მუშაობა უფრო საინტერესოს, მიმზიდველს ხდის გაზეთის თვითეულ ნომერს.

ჩვენში ჟურნალისტს განსაკუთრებულ პატივს სცემენ და აფასებენ. პარტიის XXIII ყრილობაზე ჟურნალისტებს, იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკებთან ერთად, პარტიის ოქროს ფონდი ეწოდა. ეს მაღალი შეფასება პრესის თვითეულ ჯარისკაცს ავალებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდეს ჟურნალისტის წმინდა სახელს, იყოს მუდამ პატიოსანი და გულმართალი, იმაღლებდეს პოლიტიკური ცოდნის დონესა და საქმიან კვალიფიკაციას.

თვითეული ბეჭდვითი ორგანოს ვალია ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელთან დროულად და გასაგები ენით მიიტანოს ჩვენი პარტიული დოკუმენტების თვითეული სტრიქონი, ღრმად დაარწმუნოს ადამიანები პარტიის პოლიტიკის მნიშვნელობაში. ეს კი აზვირთებს მასების შემოქმედებით ენერგიას, რასაც, როგორც ამბობენ, შეუძლია „მთები შეძრას“.

დიდი შრომისა და შემოქმედების, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს გვამცნობს. „ხუთწლედი — ვადამდე!“ ამ დევიზის განხორციელებისათვის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იღვწიან საქართველოს ჟურნალისტები. ყოველმხრივ ეხმარებიან რა პარტიულ ორგანიზაციებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, ისინი ისწრაფვიან მუდმივი კონტროლი დააწესონ ვ. ი. ლენინის საიუბილეო წლისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ და ამრავლებდნენ ჩვენი ხალხის სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ“ რედაქციებს ურჩევდა: „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან, მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა ნამდვილად როგორ აშენებს რაღაც ახალს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მეტი შემოწმება იმისა, თუ რამდენად კომუნისტურია ეს ახალი“.

სწორედ ამ მითითებას ითვალისწინებენ ჩვენი რესპუბლიკური და საოლქო, საქალაქო და რაიონული, აგრეთვე მრავალტირაჟიანი გაზეთები, რომლებიც გამოდიან ყოველივე ახლის, სასარგებლო თაოსნობის მხარდამჭერად და გამავრცელებლად.

სოციალისტური სამშობლოს მიერ განვლილ გმირულ გზას რომ თვალნათლივ აჩვენებს, საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ადამიანებს ახალი შრომითი საქმეებისათვის აღანთებს. იგი ემსახურება დიდსა და კეთილშობილურ მიზანს — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელების კომუნისტურ აღზრდასა და სოფლის მეურნეობის წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 30 აპრილი.

ნახატი პ. ვასილიევისა.

ღირსეულნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება წინასაარჩევნო კრებები.

□ წნორის მექანიკური ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის № 184 საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **დიმიტრი ლევანის-ძე გელაშვილი.**

□ ახალქალაქის რაიონის სოფელ ღადოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის № 168 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ელიშ აშოტის-ძე მურადიანი.**

□ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის № 174 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამ კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ნოდარ ილიას-ძე ძამუკაშვილი.**

□ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ილია ნესტორის-ძე ვეკუა** ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხაკაიას № 189 საარჩევნო ოლქში ცხაკაიას ხალიჩის კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა და საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქალაქ ფოთის კოლხეთის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი საყრდენი სადგურის კოლექტივმა.

□ გაიმართა გაგრის რაიონის სოფელ მიქელრიფშის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისა და განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებები, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაგრის № 484 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ოსკეკ არმენაკის ასული ძალაჯიანის** კანდიდატურა.

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ოჩამჩირის საქალაქო №489 საარჩევნო ოლქში სოფლების კუტოლისა და ათარა არმიანსკოეს კოლმეურნეობათა წევრებმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სოფელ კუტოლის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **ევა ტარასის ასული საკანია.**

□ ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ფრუნზეს № 494 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ საწარმოს მოწინავე მკერავი-მემოტორე **ნაზი ჰუსეინის ასული სირაბიძე.** (საქინფ.).

კონკურსში გამარჯვებულნი

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 25 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ შეაჯამეს ადგილობრივ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით პეროიკულ-პატრიოტული თემის საუკეთესო გაშუქების იმ სრულიად საკავშირო კონკურსის შედეგები, რომელიც მოეწყო დევიზით „დიადი გამარჯვება“.

პირველი პრემიები და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სიგელები დაიმსახურეს საოლქო გაზეთებმა „სოვეტსკი სახალინმა“ (სახალინის ოლქი), „სოციალისტიჩესკი დონბასმა“ (დონეცკის ოლქი) და ზღვისპირეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სამხარეო კომიტეტმა (ქ. ვლადივოსტოკი).

მეორე პრემიებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ რესპუბლიკური გაზეთები „ბაკინსკი რაბოჩი“ (აზერბაიჯანის სსრ), „სოვეტაკან აიასტანი“ (სომხეთის სსრ), „კომუნისტი“ (საქართველოს სსრ), „ზნამია იუნოსტი“ (ბელორუსიის სსრ), საოლქო გაზეთები „რადიანსკა პოდილია“ (ხმელნიცკის ოლქი), „კურსკაია პრავდა“ (კურსკის ოლქი), „ვოსტოჩნო-სიბირსკაია პრავდა“ (ირკუტსკის ოლქი), „ჩელიაბინსკი რაბოჩი“ (ჩელიაბინსკის ოლქი), „ვოლგოგრადსკაია პრავდა“ (ვოლგოგრადის ოლქი), საქალაქო გაზეთი „კრასნოე ზნამია“ (ქ. დაუგავ-პილსი).

მესამე პრემიები და სიგელები მიენიჭათ რესპუბლიკურ გაზეთებს „სოვეტსკაია მოლდავიას“ (მოლდავეთის სსრ), „სოვეტსკაია მოლოდიოჟს“ (ლატვიის სსრ), „სოვეტსკაია კირგიზიას“ (ყირგიზეთის სსრ), „სოვეტსკაია ესტონიას“ (ესტონეთის სსრ), საოლქო გაზეთებს „სმენას“ (ლენინგრადის ოლქი), „ნოვგოროდსკაია პრავდას“ (ნოვგოროდის ოლქი), რიაზანის რადიომაუწყებლობის საოლქო კომიტეტს (ქ. რიაზანი), საქალაქო გაზეთს „ვეჩერნიე ნოვოსტის“ (ლიტვის კომპარტიის ვილნიუსისა და კაუნასის საქალაქო კომიტეტების, ვილნიუსისა და კაუნასის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს), საქალაქო და რაიონულ გაზეთებს „ლენინსკი პუტს“ (კრასნოდარის მხარე), „ლენინსკი ულიახს“ (კიევის ოლქი), „ზნამია კომუნიზმას“ (ირკუტსკის ოლქი), „ლენინსკი პუტს“ (კურგანის ოლქის კეტოვოს რაიონი).

პრეს-კონფერენცია კამბოჯის მდგომარეობასთან დაკავშირებით

4 მაისს საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის გაიმართა პრეს-კონფერენცია კამბოჯაში ამერიკის ჯარების შეიარაღებულ შეჭრასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ა. ნ. კოსიგინმა** წაიკითხა საბჭოთა მთავრობის შემდეგი განცხადება.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების სერიოზული გამწვავების გამო, რაც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას კამბოჯის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია გააკეთოს შემდეგი განცხადება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ბრძანებით 30 აპრილს ღამით ამერიკის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ნეიტრალური კამბოჯის ტერიტორიაზე. ეს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში რადიოთი და ტელევიზიით. დეპეშათა სააგენტოების ცნობით, ამერიკის შეიარაღებული ძალები, მათ შორის ჯავშანსატანკო ჯარები და ავიაცია ღრმად მიიწევენ კამბოჯის ტერიტორიაზე და დაღუპვას უქადიან კამბოჯის მოსახლეობას. ამერიკის სარდლობა ამ აგრესიული ოპერაციებისათვის იყენებს აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული რეჟიმის ჯარების მნიშვნელოვან კონტინგენტებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე ახლა შეიქმნა ომის ახალი კერა. მისი ალი ვიეტნამთან და ლაოსთან ერთად კამბოჯასაც მოედო.

გაავრცელა რა საომარი მოქმედება ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის კიდევ ერთ სახელმწიფოზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავის განცხადებაში დაემუქრა ყველა სახელმწიფოს, რომლებიც გაბედავენ და მხარს დაუჭერენ ამერიკის აგრესიის მსხვერპლთ. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატები უკანასკნელ დღეებში მიმართავს მასირებულ საჰაერო თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში. ამით მან უხეშად დაარღვია იმ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც საფუძვლად დაედო პარიზის ოთხმხრივ მოლაპარაკებას.

როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაცია, როცა აგრესიულ პოლიტიკას ადგას, იმით ხელმძღვანელობს, თითქოს ძლიერი სახელმწიფო საერთაშორისო საქმეებში მხოლოდ ძალის გამოყენებით მოქმედებდეს. ვაშინგტონში ჰგონიათ, რომ საკმარისია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენოს ძალა იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, რომ თავიდან მოიშოროს მისთვის არასასურველი მთავრობანი და დაამყაროს თავისი დიქტატი. ასეთი კურსი, რომელსაც წარსულშიც მიმართავდნენ, ამერიკის საგარეო პოლიტიკის მარცხს იწვევდა და იწვევს. ეს კარგადაა ცნობილი, და ამის ერთ-ერთი მაგალითია ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ატეხა რა ომი კამბოჯაში და ფართო მასშტაბით განაახლა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დასახლებული რაიონების ბარბაროსული დაბომბვა, პრეზიდენტმა ნიქსონმა ფაქტიურად ხაზი გაუსვა თავისი წინამორბედი პრეზიდენტის ჯონსონის გადაწყვეტილებასაც იმის შესახებ, რომ 1968 წლის ნოემბრიდან შეწყვეტდნენ ყოველგვარ საჰაერო დაბომბვას და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებას.

აღნიშნულ განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ცდილობს გაამართლოს აგრესია კამბოჯის წინააღმდეგ და ამ მიზნით მოჰყავს ვერსიები, რომლებმაც შეცდომაში უნდა შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მათ შორის ამერიკისაც.

კამბოჯაში სამხედრო შეჭრის გადაწყვეტილება ვაშინგტონში იმით უნდათ დაასაბუთონ, თითქოს ეს აუცილებელი იყო სამხრეთ ვიეტნამში მყოფ ამერიკელ ჯარისკაცთა გადასარჩენად. ეს მეტად უცნაური ლოგიკაა. აგრესორი, რომელიც ჯერ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრა, აცხადებს, რომ მისი ჯარისკაცების სიცოცხლეს, ესე იგი უცხოელი ინტერვენტების სიცოცხლეს ვიღაც ემუქრება, და ეს, აგრესორის თვალსაზრისით, საკმაო საბაბია იმისათვის, რომ შეიჭრას კიდევ ერთი ქვეყნის, პირველის მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს სახელმწიფოთა საზღვრებსა და სუვერენიტეტს, მათ ტერიტორიათა შეუვალობას. მაგრამ ასეთი პოლიტიკა მეტად უხეში თვითნებობაა საერთაშორისო საქმეებში და იგი გადაჭრით უნდა დავგმოთ.

ყველასათვის ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გაფართოება ინდოჩინეთში სრულიადაც არ ამცირებს საფრთხეს, რომელიც მისი ჯარისკაცების სიცოცხლეს ემუქრება.

რაც უფრო ღრმად ეფლობა ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ავანტიურებში ვიეტნამის, ლაოსის, ახლა კი კამბოჯის მიწა-წყალზე, მით უფრო მეტ ახლობელს კარგავენ ამერიკელთა ოჯახები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მართლა რომ აწუხებდეს, როგორ დაიცვას დაღუპვისაგან ათობით და ასობით ათასი ამერიკელი, ამისათვის ჰქონდა და აქვს იოლი გამოსავალი: არ გაგზავნოს ამერიკელი ჯარისკაცები არც ვიეტნამში, არც კამბოჯაში, არც ლაოსში, არამედ დააბრუნოს შინ.

კიდევ უფრო ნაკლებ დამაჯერებელია მტკიცებანი, თითქოს სამხედრო მოქმედების გადატანა კამბოჯის ტერიტორიაზე აახლოებდეს ომის დამთავრებას ვიეტნამში. ისე გამოდის, თითქოს საომარი მოქმედების ასპარეზის გაფართოება ინდოჩინეთში კი არ ადიდებდეს ომის მასშტაბს, არამედ ლამის ამცირებდეს კიდეც.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, ამ განცხადების, ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკის ნამდვილი აზრი ის არის, რომ მოსპონ პროგრესული რეჟიმები ამ რაიონის ქვეყნებში, ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელი შეუშალონ ხალხთა სოციალურ პროგრესს და კოლონიზატორული მეთოდების მეოხებით ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა დაუქვემდებარონ თავიანთ სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს, ჩაითრიონ ისინი თავიანთ სამხედრო ბლოკებში. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მიზნები ამ რაიონში. ეს მიზნები კარგად იცის ყველა ხალხმა. ეს არის ხალხთა ინტერესებისათვის უცხო, იმპერიალისტური, აგრესიული მიზნები, და ამიტომ ისინი გარდუვალად განწირულია ჩასაფუშავად.

იმათ, ვინც განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, ხელს არ აძლევთ კამბოჯის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, ხელს არ აძლევთ მისი სამშვიდობო კურსი, რომელსაც ახორციელებდა უკანასკნელ დრომდე. კამბოჯაში ამერიკის შეჭრის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი გახდა კავშირი ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების ძირგამომთხრელ საქმიანობასა და პნომპენის სახელმწიფო გადატრიალებას შორის, რის შედეგადაც გადაყენებულია სახელმწიფოს კანონიერი მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი. ეს სამსახურები და მათი აგენტურა კამბოჯაში ცდილობენ შუღლი ჩამოაგდონ ქხმერ ხალხთა და ვიეტნამელ ხალხს შორის. მათ მოაწყვეს კამბოჯის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვიეტნამელთა ხოცვა-ჟლეტა, შექმნეს საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც ბარბაროსულად სპობენ ქვეყნის მშვიდობიან მცხოვრებლებს. ისინი იყენებენ ყოველგვარ მეთოდებს, რათა ერთმანეთს წააკიდონ აზიის ხალხები. ამ რაიონის ქვეყნებს თავს ახვევენ ძმათამკვლელ ომებს. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დოქტრინა ომის „ვიეტნამიზაციის“ შესახებ. ცხადია, რომ ყოველი მთავრობა, რომელიც აჰყვებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მისი აგრესიული კონფლიქტის თანამონაწილე გახდებოდა, ცხადყოფდა, რომ ხალხთა მტერია.

მაგრამ იქნებ ვიკითხოთ — ვინ მისცა უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებს იყოს იმის მსაჯული, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი სხვა ხალხებისათვის? რის საფუძველზე კისრულობს ამერიკის შეერთებული შტატები როლს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მხოლოდ საერთაშორისო ჟანდარმის როლი? არავის არ მიუცია მისთვის ასეთი უფლება, არავითარი საფუძველი ამისათვის არც ჰქონია და არც აქვს.

ამერიკის სამხედრო შეჭრა კამბოჯაში დედამიწის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების აღშფოთებას იწვევს. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გაფართოება ინდოჩინეთში კიდევ უფრო საჭიროს ხდის გავაერთიანოთ და გავაძლიეროთ მთელი სოციალისტური, მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარე ძალები აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად. შექმნილ ვითარებაში ყველა სახელმწიფომ, რომლებისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ინტერესები, უნდა გამოიჩინოს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა მოვლენათა შემდგომი მსვლელობისათვის და გაბედულება — შეუწყოს ხელი აგრესორის მოგერიებას.

კამბოჯაში ამერიკის ჯარების შეჭრამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს მთელი საერთაშორისო ვითარებაც. ამ თვალსაზრისით ისმება კითხვა: როგორ გავიგოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არაერთგზისი გამონათქვამი ორთაბრძოლის ერიდან მოლაპარაკების ერაზე გადასვლის სასარგებლოდ? შეიძლება თუ არა სერიოზულად ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ესწრაფვის ნაყოფიერ მოლაპარაკებას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები უხეშად თელავს ჟენევის 1954 და 1962 წლების შეთანხმებებს, რომელთა მონაწილეც თვითონ არის, და მიმართავს სულ ახალ აქტებს, რომლებიც ძირს უთხრიან საერთაშორისო უშიშროების საფუძვლებს? რა ფასი აქვს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებშიც მონაწილეობს ან მონაწილეობას აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები, თუ იგი ასე უცერემონიოდ არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს?

არ შეიძლება არ ჩავუფიქრდეთ იმას, რომ პრეზიდენტ ნიქსონის პრაქტიკული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში ძირფესვიანად განსხვავდება მისი იმ დეკლარაციებისა და განცხადებებისაგან, რომლებიც არაერთგზის გაუკეთებია როგორც პრეზიდენტის პოსტზე ასვლის წინ, ისე უკვე თეთრ სახლში ყოფნის დროს. იგი დაჰპირდა ამერიკელ ხალხსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ყველაფერს იღონებდა ვიეტნამის ომის შესაწყვეტად, ამერიკელ ჯარისკაცთა შინ დასაბრუნებლად და გადასარჩენად. მაგრამ ყველა ეს დაპირება, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, არაფრისმთქმელ ფრაზად რჩება, რადგან სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კიდევ უფრო აძლიერებს თავის აგრესიულ კურსს.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის პატივს სცემდა და პატივს სცემს კამბოჯის ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, პატივს სცემს მის საზღვრებს. ეს განსაზღვრავს სწორედ იმას, რომ ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამერიკის ინტერვენციას კამბოჯაში. რა მოჩმახული საბაბითაც უნდა ინიღბებოდეს იგი, ცხადია ერთი რამ — ინდოჩინეთის ხალხთა იმ შეუვალი უფლების ცინიკური უგულებელყოფა, რომ თვითონ უფროსობდეს საკუთარ სახლში, და ამერიკის უხეში დიქტატი კვლავ ამერიკის საგარეო პოლიტიკის საფუძველია მსოფლიოს ამ რაიონში, ხოლო ამ პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა შეთქმულებათა მოწყობა, სამხედრო ინტერვენციები, აგრესიები.

ეჭვი არ არის, რომ ამერიკის აგრესიის გაფართოებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სულ უფრო გადამწყვეტ და ეფექტიან წინააღმდეგობას გაუწევენ ხალხები, რომლებსაც თავს დაესხნენ იმპერიალისტები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ინტერესები. მძიმე პასუხისმგებლობა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომისათვის, ემატება მაჯი პასუხისმგებლობა კამბოჯელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიისათვის. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა სათანადო დასკვნებს გამოიტანს თავისი პოლიტიკისათვის იმ კურსიდან, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ადგას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გრიგოლ თეოფილეს-ძე ქარანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ

შეხვედრა „კომუნისტის" რედაქციაში

ქართული საფრონტო გაზეთების ყოფილ თანამშრომლებთან

დღეს 5 მაისია — საბჭოთა პრესის ტრადიციული დღესასწაული. ოთხი დღის შემდეგ კი მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი ზეიმით აღნიშნავს დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სახელოვან 25 წლისთავს. სწორედ ამ ორ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ შეხვედრა მოუწყო ყოფილ ფრონტელ ჟურნალისტებს, ადამიანებს, რომლებისთვისაც ორივე ეს თარიღი განსაკუთრებით მახლობელია.

ისინი, როგორც ჟურნალისტები, ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს მტკიცედ იცავდნენ ფრონტზეც, და ორი იარაღით — ხიშტითა და კალმით სჭედდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს. ბევრი ჟურნალისტი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ბევრი კი გამარჯვებული დაბრუნდა და ახლაც აქტიურად მონაწილეობს ყოველდღიურ საბრძოლო ჟურნალისტურ საქმიანობაში. ქვემოთ ვაქვეყნებთ შეხვედრის მოკლე ანგარიშს.

წითელარმიელთა მასების მგზნებარე ორგანიზატორი — აი რაზე ილაპარაკა ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის წითელარმიული გაზეთის „სამშობლოს დამცველის" ყოფილმა რედაქტორმა, თადარიგის მაიორმა, ჟურნალისტმა არჩილ კოკილაშვილმა.

ყველა ქართულ დივიზიას ჰქონდა წითელარმიული გაზეთი, მათ შორის იყო გაზეთი 414-ე დივიზიისა — „სამშობლოს დამცველი". გაზეთმა განვლო ბრძოლებისა და გამარჯვებათა არც ისე მოკლე გზა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1942 წლის 1 მაისს, საქართველოდან დაშორებით, დივიზიის ფორმირების ადგილას — დაღესტნის ასსრ-ში.

მეტად ძნელ პირობებში მოგვიხდა სტამბის მოწყობა, დაკომპლექტება, მოკლე დროში გაზეთმა შემოიკრიბა ავტორთა აქტივი როგორც რიგითი, ისე მეთაურთა შემადგენლობიდან.

გაზეთის გამოსვლის პირველივე თვეებში დივიზიაში სტუმრად იყვნენ მწერლები შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როდიონ ქორქია, სიმონ მთვარაძე, ანდრო თევზაძე და სხვები. ისინი ჩვენი გაზეთისათვის წერდნენ ნარკვევებს, ლექსებს. ჩვენს შენაერთში მსახურობდნენ პოეტი, ოფიცერი სანდრო ეულენტი, ახალგაზრდა ლიტერატორი, პოლიტხელის მოადგილე ვლადიმერ გელაშვილი. ისინი ბეჭდავდნენ ლექსებს, კორესპონდენციებს.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! ულმობლად დასცხე მტერს! ქლიტე მხეცი ფაშისტები! არ გაუშვათ მტერი ამიერკავკასიიდან!.. და სხვა ამგვარი მოწოდებები მუდამ თან ახლდა გაზეთს, იგი მობილიზებას უკეთებდა შენაერთის მთელ ფიზიკურ და სულიერ ძალებს!

დიდი მოწონება ხვდა ილო მოსაშვილის ლექსს „შვილს", რომელიც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერს ეპიგრაფად წავუმძღვარეთ:

შვილო, სამშობლო გეძახის,
მტერი დაგვსხმია ვერაგი,
იჩქარე, ჩემო ვაჟკაცო,
ჩაიცვი რკინის პერანგი.
იჩქარე, შვილო, გელიან,
სული ჩაიდგი გმირული,
შავი ზღვის იქით — თეთრ ზღვამდე
ბრძოლაა თავგანწირული.

საგულისხმოა ჩვენი გაზეთის რუბრიკი — „ისმინე, მებრძოლო!" ეს წარმოიქმნა შინიდან მებრძოლების მიერ მიღებული წერილების საფუძველზე. მებრძოლთა ნათესავებისა და ახლობლების წერილებისაგან გაზეთის ჟურნალისტებმა მშვენიერი, საინტერესო განყოფილება შეადგინეს. ეს იყო საბჭოთა პატრიოტი ადამიანების — როგორც ფრონტის მეომრების, ისე ზურგის მშრომელთა განწყობილების უტყუარი სარკე, მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, მკითხველთა ყურადღებას მუდამ იპყრობდა რუბრიკები: „ფრონტის დღიურები", „ტელეფონით ცეცხლის ხაზიდან", „ჩვენი ორდენოსნები და მედალოსნები", „წერილები საქართველოდან" და სხვ.

ჩვენს ფრონტელ პოლიგრაფისტებს ხშირად აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, განსაკუთრებით ღამე, მბჟუტავი კვარების შუქზე, ბლინდაჟში... მაგრამ გაზეთის ახალი ნომრები უკვე დილასვე მისდიოდათ მეომრებს წინა ხაზზე. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩვენი სტამბის ასოთამწყობთა: გ. ბოლქვაძის, კ. ჩოგოვაძის, ს. ჯავახიშვილის, გ. ბობოხიძის მამაცური შრომა. მათ ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი გაურთმევიათ თავი დაკისრებული საქმისათვის. ეს მათი წყალობითაც იყო, რომ გაზეთი ყოველგვარ პირობებში გამოდიოდა. ერთმა მეომარმა მათს შრომას ლექსიც კი უძღვნა, ჩვენ იგი გაზეთში დავბეჭდეთ. ჩვენი რედაქციის წარდგენით სტამბის მუშებს მთავრობის ჯილდოებიც კი მიუღიათ.

ჟურნალისტი ანტონ კელენჯერიძე შეხვედრის მონაწილეებს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ომის პირველი დღეების დაძაბულ ვითარებაში ქართველ ჟურნალისტთა საქმიანობაზე.

— როდესაც ყირიმის ფრონტზე შეიქმნა პირველი ქართული შენაერთი, დაარსდა ჩვენი გაზეთიც. სასიამოვნოა, რომ აქ, ჩემთან ერთად, ესწრებიან დიმიტრი ლომთაძე, სერგო ყურაშვილი და ნოე კაკუშაძე — ჩვენი დივიზიის გაზეთის ყოფილი მუშაკები.

ასეთი გარემოება იყო. იანვრის 23 თუ 24 რიცხვი იყო, გამოგვიძახეს ცენტრალურ კომიტეტში და აგვიხსნეს ჩვენი ამოცანა. ფრონტზე ბევრია ისეთი ქართველი, რომელმაც რუსული ენა არ იცის, საჭიროა მოგვარდეს ინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხი. აი სწორედ ჩვენ გაგზავნილ ვიქნებით პოლიტინფორმატორებად. ეროვნულ შენაერთებზე მაშინ ლაპარაკი არ იყო. მალე დაგვეკისრა ფრონტული რუსული გაზეთის დუბლირება როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მაგრამ მალე ქერჩის ნახევარკუნძული განთავისუფლებულ იქნა, რუსული გაზეთის დუბლირების ნაცვლად მოგვიხდა საკუთარი — დამოუკიდებელი ქართული გაზეთის გამოცემა.

უნდა ვთქვა, რომ 221-ე ქართულ დივიზიას დიდი ქარცეცხლიანი გზა აქვს გამოვლილი, და მის მეომართა საბრძოლო გმირობანი ელის ჟურნალისტთა კალამს.

ქართულმა გაზეთმა ფრონტზე აუწერელი დადებითი როლი შეასრულა. ძნელია აქ ახლა წარმოგიდგინოთ და აგიწეროთ ის სიხარული და კმაყოფილება, რასაც გაზეთის ყოველი ნომერი იწვევდა მეომრებში. ყოველი მეომარი, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე ცდილობდა, შესაძლებლობისამებრ, შემოევლო რედაქციაში. იყო ასეთი შემთხვევა. შემოვარდა ჩვენს რედაქციაში ერთი მეომარი, ხვითქად ოფლი გადასდის, ძლივს სუნთქავს და გვეუბნება: მითხარით, სად არის ალიბეგაშვილი? საქმე ის იყო, რომ ჟურნალისტ არტემ ალიბეგაშვილს (იგი ახლა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის განყოფილების გამგეა) ნარკვევი ჰქონდა დაბეჭდილი. მომსვლელს ეს გვარი რომ უნახავს, მოვარდა ჩვენთან. ეს თურმე ძმაა ჟურნალისტისა. საოცარი შეხვედრა იყო. არ იცოდნენ ძმებმა ერთმანეთისა არაფერი, გაზეთმა აპოვნინა ერთმანეთი. ასეთი ამბავი შემთხვათ ჟურნალისტ დ. ლომთაძესა და მის ფრონტელ ძმასაც.

ვერაფერი დამავიწყებს, როგორ მოხვდა ჩვენი რედაქცია და სტამბა, ერთ-ერთი სკოლის შენობაში რომ იყვნენ, დაბომბვაში. ვინ აღწერს იმ დროის განცდებს! მიკვირს, როგორ გადავრჩით. ეს რაღაც ორიოდე წუთში მოხდა, მაგრამ აბა ვიკითხოთ იმ ქართველ ჟურნალისტთა ამბავი, რომლებიც მთელი ოთხი წელიწადი მეტწილად ომის ორომტრიალში მოქმედებდნენ და ცეცხლის ხაზიდან არ გამოდიოდნენ, ზოგიც ხომ მთლად დარჩა იქ, ბრძოლის ველზე. და ჩვენ სამარადისო დიდება უნდა ვუთხრათ მათ.

დიდი სამამულო ომის ფრონტი. საბრძოლო ლაშქრობა მთებში. ლაშქრობს 392-ე ქართული დივიზიის გაზეთის რედაქციისა და სტამბის კოლექტივიც. გაზეთი ბორბლებზე! აი დანიშნულ ადგილზე აჩერებს მანქანას მძღოლი, მებრძოლი ნიკოლოზ შეროზია. რედაქცია და სტამბა გაზეთის მორიგი ნომრის გამოცემის თადარიგს შეუდგნენ. ამ გაზეთს ათასობით მეომარი-მკითხველი ელოდება. გაზეთი აქ ტყვია-წამალთან არის გათანაბრებული. დიდია მისი მორალური მნიშვნელობა ბრძოლის ველზე...

ასე დაიწყო თავისი გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ყოფილმა სამხედრო ჟურნალისტმა და სამხედრო გაზეთის რედაქტორმა, ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პეტრე შამათავამ.

და გაზეთის მორიგი ნომერიც მზად არის მკითხველებისათვის.

1943 წელი, 13 ოქტომბერი. № 100.

ასეთია ამ გაზეთის თარიღი, მისი მცირე „საიუბილეო" ნომერი... მის პირველ გვერდზეა რეპორტაჟი ბრძოლის ველზე გამართული პარტიული კრების შესახებ. მას მოსდევს ნარკვევი — „მერვე ასეულის კომუნისტები". იგი მკითხველს აცნობს პოლიტხელ ვლადიმერ ლურსმანაშვილისა და მისი ასეულის კომუნისტების საბრძოლო გმირობას. ეს ის ლურსმანაშვილია, რომლის საბრძოლო დიდება პირველად ჩვენს საფრონტო გაზეთში გაისმა და რომელიც მერე საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

ეს — სამხედრო ჟურნალისტები უჩვენებდნენ გმირებს, ხალხის სასახელო შვილებს, ეს — არმიული პრესა აშუქებდა გმირთა ცხოვრებას. ასე გაჩნდა პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კორესპონდენციები, ნარკვევები, ლექსები ვ. ლურსმანაშვილზე, ა. პირმისაშვილზე, ვ. კანკავაზე, მ. ბუხაიძეზე... ფრონტზე, ჩვენს დივიზიაში, შეიქმნა ირაკლი აბაშიძის პოპულარული ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე" და პირველად ჩვენსავე გაზეთში დაიბეჭდა.

ვსარგებლობ კეთილი შემთხვევით და მინდა დიდი სიყვარულით მოვიხსენიო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქართული გაზეთი „ლენინის დროშა", მისი პირველი რედაქტორი, ცნობილი მწერალი, პიესა „კიკვიძის" ავტორი ვანიონ დარასელი. ამ გაზეთმა და მისმა კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწიეს მეომართა აღზრდისათვის. დიდია მათი წვლილი ჩვენს დიად გამარჯვებაში. ეს გაზეთი მთელი 15 წელიწადი გამოდიოდა და მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული სამხედრო პრესის ისტორიაში.

დიდი სამამულო ომის ბევრ უბანზე მომიხდა ყოფნა, მაგრამ მინდა დღეს ვილაპარაკო მხოლოდ იმ ბრძოლებზე, რომლებიც 1942 წლის ზაფხულში უშუალოდ საქართველოს მიწაწყალზე გაიმართა და რომელთა შესახებ ძალზე ცოტა თქმულა და დაწერილა, — ამბობს ჟურნალისტი, პერსონალური პენსიონერი გრიგოლ იარალოვი.

გერმანელებმა საქართველოს საზღვარი პირველად ზემო სვანეთში გადმოლახეს. 18 აგვისტოს მტრის 1-ლი სამთო მსროლელი დივიზიის ნაწილებმა ელბრუსის მიმართულებით წინსვლა განავითარეს და დაიკავეს უღელტეხილები ხოთიუ-თაუ და ჩიპერ-აზაუ. შემდეგ მტერი ცდილობდა ჩამოსულიყო ბაქსანის ხეობაში, მდინარე ენგურის სათავეებთან და განევითარებინა შეტევა უკვე საქართველოს ბარის რაიონებში.

მაგრამ ბეჩოს უღელტეხილზე, მდინარე ბაქსანთან მათ გზა გადაუჭრეს 63-ე ცხენოსანი დივიზიის ქვედანაყოფებმა და ყოფილი შინსახკომის შინაგანი ჯარების ერთერთმა ბატალიონმა უფროს ლეიტენანტ რ. სტიშენკოს მეთაურობით. ბრძოლა ფიცხელი და შეუპოვარი იყო. დიდი ზარალით მტერი უკუგდებულ იქნა იალბუზის აღმოსავლეთი ფერდობებიდან.

ამ ბრძოლაში ბატალიონის მეთაურ სტიშენკოსთან ერთად ბევრმა მეთაურმა და მებრძოლმა ისახელა თავი და სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის 30 კაცი მთავრობის მაღალი ჯილდოებით იქნა დაჯილდოებული. მათ შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულენი: სამხედრო ექიმი გიორგი დოლიძე, რომელიც ამჟამად აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში განაგრძობს დასტაქრის საპატიო საქმიანობას, ბატალიონის მეთაურის მოადგილე კაპიტანი პლატონ მარღანია, რომელიც ხანდაზმულობის მიუხედავად დღესაც დაუღალავად შრომობს თბილისის სავაჭრო სისტემაში, უფროსი ლეიტენანტი კ. მესხი და სხვ.

ამ წარმატებითი ოპერაციის თაობაზე წითელარმიულ გაზეთში „სამშობლოს სადარაჯოზე", 17 სექტემბერს დაიბეჭდა სტიშენკოს ბატალიონის მებრძოლებისა და მეთაურების წერილი-მიმართვა ბროვკინის შენაერთის მთელი პირადი შემადგენლობისადმი — „არ გაუშვათ არცერთი გერმანელი კავკასიონის ქედზე!" ამ მოწოდებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ნაწილებსა და ქვედანაყოფებში.

ასე მუსრავდნენ მტერს პატრიოტული ტყვია და მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვა. როდესაც კავკასიონის ქედები გაიწმინდა მტრისაგან და დაიწყო ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მასობრივი წინსვლა, გაზეთმა „სამშობლოს სადარაჯოზე" სპეციალური ნომერი მიუძღვნა გამარჯვებულთ საერთო სათაურით: „დიდება საქართველოს მიწაწყლის დამცველებს!"

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დიდ ვალში ვართ ომში დაღუპული ჟურნალისტების მიმართ. გვმართებს მათი სახელების პოპულარიზაცია.

მე არ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ როგორ დაგვბომბეს, როგორ ვისროდი და სხვა ასეთი... მე მინდა გიამბოთ ერთი პატარა ეპიზოდი ძეგლის გადარჩენისა, — ამბობს მწერალი, ჟურნალისტი ლავრენტი ჭიჭინაძე. — 1942 წელს 406-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები განლაგდნენ თურქეთის საზღვარზე.

ერთ-ერთი ტაქტიკური მეცადინეობის დროს მებრძოლები გზაზე წასწყდომოდნენ რაღაც წარწერიან ქვის ლოდს, ეს ამბავი დივიზიის პოლიტგანყოფილებაში მოიტანეს. პოლიტგანყოფილების უფროსმა გრიგოლ გუმბარიძემ გამოგვიძახა დივიზიის გაზეთ „სამშობლოსათვის" მუშაკები და გვითხრა:

— თურმე გზის ნაპირზე ძველი წარწერიანი დიდი ლოდი გდია. ის შეიძლება მშენებლობისათვის დაამტვრიონ, ამიტომ დროზე ვუშველოთ, აქ ჩამოვიტანოთ. — მერე გაზეთის რედაქტორს კარლო სიხარულიძეს დავალება მისცა მისი ჩამოტანის შესახებ.

უშველებელი ქვის სვეტი მოვათავსეთ დივიზიის კლუბში.

მისი წარწერის ამოკითხვა სრულად ჩვენ ვერ შევძელით და ამიტომ ეს ამბავი პროფესორ ნიკო ბერძენიშვილს ვაცნობეთ. ამასთან დაკავშირებით მან საინტერესო წერილი გამოგვზავნა.

იგი გ. გუმბარიძეს სწერდა:

„სასიამოვნო და საამაყოა, რომ ამ მრისხანე ომის დღეებში წითელ არმიას ჩვენი კულტურული წარსულისათვისაც სცალია. და ეს სრულიად ბუნებრივია: ჩვენი არმია ხომ საკაცობრიო კულტურისა და პროგრესის მცველი და მატარებელია. ამ საქმით თქვენმა შენაერთმა საძირკველი ჩაუყარა სამხარეთმცოდნეო მუზეუმს.

მთხოვთ ქვის წარწერას. სამწუხაროდ, ეს წარწერა მთლად ამოკითხული მე ჯერ კიდევ არა მაქვს. იქ, მინდორში, მასზედ გულდასმით მუშაობა არ ხერხდებოდა. ამიერიდან კი თქვენი მუშაობის შედეგად ასეთი რამ შესაძლებელი იქნება". შემდეგ აღწერილია ძეგლის წარწერის მოცულობა. წარწერა ასე იწყება: „სახელითა ღმრთისაითა მე ბერმან ზრუსკელმან ავაშენე ზეინაკტი ბრძანებითა ამირსპასალარისა ზაქარიასითა"... — ქვემოთ ზოგიერთი სიტყვა წაშლილია და თანმიმდევრულად აღარ იკითხება. ნიკო ბერძენიშვილი დაასკვნის: „ასე რომ სრულიად უდავოა: წარწერა ამოჭრილია თამარ მეფის დროს, უფრო ზედმიწევნით კი 1190-1212 წლებს შორის".

ჩვენ პროფესორ ნ. ბერძენიშვილის წერილი და ძეგლის გადმოტანის ამბავი ცალკე ფურცლებზე დავბეჭდეთ ჩვენს სამხედრო სტამბაში, დავარიგეთ ასეულებში, რამდენიმე თბილისშიც ჩამოვიტანე, გადავეცი ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილს.

ეს მოხდა ისეთ დროს, როცა ფაშისტთა ურდოები კაცობრიობის ყოველ კულტურულ მონაპოვარს მიწასთან ასწორებდნენ, ხოლო საბჭოთა არმიის მისია იყო გადაერჩინა საბჭოთა ხალხი, დაეცვა მისი კულტურული მონაპოვარი და ეხსნა ევროპის ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

ხიშტითა და კალმით

იმ ქარცეცხლიან დღეებში

ახლა, როცა დიდებით გვიახლოვდება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი, — ამბობს ჟურნალისტი სერგო ყურაშვილი, — ვიხსენებ ქართველი ჟურნალისტების ფრონტულ ცხოვრებას, ქერჩის ნახევარკუნძულზე, — ყირიმის ფრონტზე მოსაგონარი ბევრი რამ მაქვს, მაგრამ გიამბობთ ორიოდე ეპიზოდს:

ჩვენს რედაქციაში ზოგჯერ შემოდიოდა ცნობილი მწერალი პ. პავლენკო. მან დაწერა შესანიშნავი ნარკვევი „გრიგოლ სხულუხია", რომელიც პირველად ქართულად დაიბეჭდა ჩვენს საფრონტო გაზეთ „მედგარ შეტევაში".

ნარკვევი „გრიგოლ სხულუხია" იქვე სანგრებში ქართულად თარგმნა ფრონტის გაზეთის მუშაკმა მთარგმნელმა ალექსანდრე მაღულარიამ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჩვენს რედაქციაში პოეტი რევაზ მარგიანი. ყირიმის ფრონტზე მან შექმნა შესანიშნავი ლექსები, მათ შორის კომისარ გიორგაძეზე, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა და სანგრიდან სანგარში გადადიოდა. კომისარი გიორგაძე ქერჩისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ქართველი მებრძოლები მისთვის მტერზე შურს იძიებდნენ.

აი მე ახლა ერთხელ კიდევ დავხედავ აკინძულ ფურცლებს, რომელთაც ყდაზე აწერია „1942 წელი, ქერჩი, თებერვალ-მაისი". აქ ჩაკრულია ფურცლები ქართულ ენაზე, რომელთაც ჩვენი გაზეთი ბეჭდავდა და შემდეგ შენაერთებში ავრცელებდა.

და ასე, ქართული სიტყვა, ქართველ ჟურნალისტთა კალამი იდგა მტრის განადგურების სამსახურში.

ძმობის დუღაბი, — აი რა უნდა მოვიგონო ახლა, იმ ქარცეცხლიანი ჟურნალისტური დღეებიდან, ამბობს ჟურნალისტი დიმიტრი ლომთაძე. სოფ. ტაიგუჩი (ყირიმის ნახევარკუნძული) შვიდიოდე კილომეტრით არის დაშორებული დაბა ლენინსკოეს. 1942 წლის გაზაფხულზე ჩვენი საფრონტო გაზეთის „ყირიმის საბრძოლოს" რედაქციამ ამ სოფელში გადაინაცვლა და ბაზად სოფლისავე გვერდით საგრძნობლად ღრმა ხევი აირჩია, რათა ერთი მხრივ საბეჭდი მანქანის ხმაური ხევის სიღრმეში შთანთქმულიყო და შენიღბვის თვალსაზრისითაც უკეთეს ვითარებაში გვეკეთებინა გაზეთი.

გაზეთის დაკაბადონება დამთავრდა, საბეჭდ მანქანაზე გამართულ გვერდებს ქანჩები ხელახლა მოუჭირა იასონ მხატვარმა, რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი ანტონ კელენჯერიძე სასადილოსკენ წავიდა, რათა ჩვენთვისაც აეღო დასანაყრებელი რამ, ხოლო „პირველი" ტირაჟის ჩამობეჭდვამდე ორნი დავრჩით მორიგედ — ამ სტრიქონების ავტორი და ჩვენი ჯგუფის პარტიული ორგანიზატორი ნოე კაკუშაძე.

...ატყდა საშინელი სროლა. მოვყევით მტრის ნაღმსატყორცნების ცეცხლის ქვეშ.

— აბა, მივწვეთ საჩქაროდ! მივწვეთ გზის ჩამონაჭრის ძირში, კიუვეტთან და თან ვთხრით, ვაღრმავებთ ნიაღვრის მიერ ოდნავ გამოჭმულ ადგილს. ახლა ვეღარ დაგვინახავენო, დავასკვენით, რომ ამ დროს... ერთი ნაღმი ზედ ჩვენთან გზის ბექობს დაეცა და მიწა-ღორღით დაგვფარა.

— როგორ ხარ, ბიჭო? — ამასობაში ოდნავ მოშორებით გასკდა მორიგი ნაღმი, ცოტა ხნის შემდეგ — კიდევ უფრო მოშორებით. ვიღას ახსოვს ახლა საუზმე! კარგად ვარ, ვწევარ და არაფერ ტკივილს არ ვგრძნობ: ნოე კი, ეტყობა, უფრო მსუბუქი ფენით იყო დაფარული, მალე გამოძვრა მიწაყრილიდან და მეძახის:

— გამოძვერი, კაცო. ხმას არ ვიღებ... ვაიმე ბიჭო, როგორ ხარ, ნუ გეშინია, ახლავე გამოგიყვან, და მოდგა მიწაყრილის ხელით ჩხრეკას. როცა ჩემს ფეხთამდე მოატანა. პატარა წიხლი ვუთავაზე.

უი, შენ გენაცვალე, რაკი ცოცხალი ხარო, მითხრა და შეუდგა მტვრისაგან ჩემი მაზარის გაფერთხვას.

იმ საღამოს ჩვენმა „მოენე" მზვერავებმა შტაბში მოიყვანეს ორი ჰიტლერელი თავიანთი ნაღმსატყორცნებით.

თურმე ძმურ დუღაბს შეუძლია ვაჟკაცსაც კი ცრემლი მოჰგვაროს.

აი რას იგონებს გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციის განყოფილების გამგე, ყოფილი სამხედრო კორესპონდენტი, თადარიგის მაიორი კონსტანტინე დობორჯგინიძე:

იმ უჩვეულო დღის ამბები სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში. უჩვეულო-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ რთულ საფრონტო ვითარებაში რედაქციის მუშაკები ჩვეული არ ვიყავით საქართველოდან ჩამოსული სტუმრების მიღებას.

და აი 1942 წლის ოქტომბრის ერთ დღეს, სწორედ მაშინ, როცა ბაქსანისა და ჩეგემის ხეობებში სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა და მთა-ბარი ცეცხლის ალში იყო გახვეული, მოულოდნელად გვეწვია მწერალთა ჯგუფი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, სოლომონ თავაძე, ერემია ქარელიშვილი.

რედაქციისა და სტამბის თავშესაფარში ქართველი მწერლების გამოჩენამ უსაზღვრო სიხარული მოგვანიჭა. რედაქციისა და სტამბის მუშაობას რომ გაეცნენ, კმაყოფილი დარჩნენ ჩვენი სტუმრები.

მწერლებთან საუბრის დროს გამოითქვა აზრი, რომ გაზეთ „წინ, გამარჯვებისაკენ" მორიგი ნომერი ერთობლივი ძალებით მოგვემზადებინა.

სტუმრებმა სიამოვნებით დაუჭირეს მხარი ჩვენს წინადადებას. გაზეთის 16 ოქტომბრის ნომერი დამშვენებული იყო ქართველ მწერალთა ლიტერატურული გვერდით. ლიტერატურულ გვერდში იხილეს გიორგი ქუჩიშვილის ლექსი „მთებში მებრძოლთ", სოლომონ თავაძის ლექსი „ძმები გულვარდაშვილები", კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ხანჯალი თუნდა ხისა იყოს, ოღონდ გული იყოს რკინისა" (ნაწყვეტი მოთხრობიდან „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"). ლიტერატურულმა გვერდმა დიდი ინტერესი გამოიწვია, აღაფრთოვანა მებრძოლები, რომლებიც რედაქციაში გამოგზავნილი წერილებით მადლობას უხდიდნენ სტუმრად ჩამოსულ მწერლებს.

საერთოდ, დიდია ჩვენი საფრონტო გაზეთების წვლილი გამარჯვების საქმეში. არა მარტო პრესის სახელოვანი ისტორია, კერძოდ, ისტორია ქართველ სამხედრო ჟურნალისტთა ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომისა, ელის მემატიანეს.

საუკუნის მეოთხედი გვაშორებს იმ ქარცეცხლიან დღეებს, — იგონებს პოლიგრაფისტი, მწერალი, ყოფილი სამხედრო კორესპონდენტი ნოე კაკუშაძე, — ჩვენს ფრონტზე გაისმოდა ქართული სიტყვა. „წინ, სამშობლოსათვის, ვმუსროთ მტერი." მოუწოდებდნენ ჩვენი ქართული საფრონტო გაზეთები.

1942 წლის თებერვლიდან სხვა ქართველ ჟურნალისტებთან ერთად ყირიმის საფრონტო გაზეთში („მედგარი შეტევა", „ყირიმის საბრძოლო"). ვმუშაობდი. გაზეთები აშუქებდნენ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში ქართველ მეომართა თავდადების მაგალითებს.

რომელი ერთი ეპიზოდი მოვიგონო: ჩვენს გაზეთში მუშაობდა ჟურნალისტი არტემ ალიბეგაშვილი. მან დაწერა საინტერესო ნარკვევი მზვერავ კვარაცხელიაზე, რომელიც მოენეზე მონადირედ და მტრისათვის მოუხელთებელ საბჭოთა მებრძოლად იყო ცნობილი. კვარაცხელიას საბრძოლო წარმატების ამბავი მთელ ფრონტს მოედო... სამწუხაროდ, შემდეგ აღარაფერი მსმენია მზვერავ კვარაცხელიაზე. საინტერესოა, რა ბედი ეწვია მას ომის ქარიშხლიან გზებზე?



ამ დღეებში დიდი სინანულით ვიხსენებ ასოთამწყობ ალექსანდრე ჯაფარიძეს, რომელიც ქერჩის დესანტს მოჰყვა და დაიღუპა. ალ. ჯაფარიძე, როგორც მახსოვს, მახარაძის რაიონიდან იყო. მისი კეთილშობილი სახე ჩვენ, მის ფრონტელ მეგობრებს, არასოდეს არ დაგვავიწყდება.

გრიგოლ ზაქარაია ომამდე ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. დიდ სამამულო ომში იგი ერთ-ერთი ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორი იყო. მრავალი თავდადებული ადამიანი, პატრიოტი მეომარი დაახსოვდა მას. აი რას იგონებს იგი ერთ მათგანზე.

1942 წლის 7-8 მაისს, გერმანელებმა საჰაერო და საარტილერიო თავდასხმები დაიწყეს ჩვენს ტერიტორიაზე, ხოლო 9 მაისს მტერი საკმაოდ ძლიერი ძალებით ქართული დივიზიის 143-ე პოლკზე მოიწევდა. ცოტა ხნის შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა და მთავარი იერიში ჯანტორაზე მიიტანა. თავგანწირული ბრძოლების შედეგად ჰიტლერელები დიდი ზარალით იქნენ უკუგდებული, მაგრამ მეორედ, მესამედ და მეოთხედაც სცადეს ჯანტორაში შემოჭრა. ქართველი მეომრების ამ ვაჟკაცურ ბრძოლებს უნარიანად წარმართავდა, პოლკის მთელ ხელმძღვანელობასთან ერთად, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე არონ თაფლაშვილი. პოლკის ხელმძღვანელობამ და პოლიტგანყოფილებიდან მიმაგრებულმა არონ თაფლაშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დივიზიის მეთაურის ბრძანება პრაქტიკულად შეესრულებინათ. ღამის 10 საათზე პოლკი, პირადი შემადგენლობის, თავდადებული ბრძოლის შედეგად, მთელი თავისი ძალებით და შეიარაღებით გამოვიდა მტრის გარემოცვიდან, ამ საბრძოლო ოპერაციის მრავალი ქართველი მებრძოლი შეეწირა, მაგრამ მტერმაც ძალიან დიდი ზარალი განიცადა.

1942 წლის 12 მაისს 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვედანაყოფები დიდი ზარალით გამოვიდნენ მტრის გარემოცვიდან და დაიძრნენ ქერჩის მიმართულებით. გზადაგზა წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდათ. თვალწინ მიდგას ის საშინელი, სურათი, როდესაც ჰიტლერელები ფერდობებზე წამომდგარი ტანკებით, დახურულ პოზიციებზე მოთავსებული ქვემეხებითა და ნაღმსატყორცნებით დილიდან საღამომდე, განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს ტაფობში მომწყვდეულ 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვედანაყოფებს.

სწორედ ამ მეტისმეტად უთანასწორო და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლების დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე არაერთი ქართველი მეომარი და მათ შორის დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ბატალიონის კომისარი არონ თაფლაშვილი.

დაე იცოდეს ახალგაზრდა თაობამ ყველა ის სახელოვანი მამულიშვილი, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებით იბრძოდა.

საყურადღებო იყო ცნობილი მეცნიერის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ვლადიმერ ესაიაშვილის მოგონება ამ შეხვედრაზე.

— ჩვენი გაზეთი „წინ, სამშობლოსათვის", — ამბობს ვ. ესაიაშვილი, — დაარსდა 1942 წლის შემოდგომაზე. იგი ემსახურებოდა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთი დაჯგუფების (გროზნოსთან) ჯარების ქართველ მეომრებს. გამოდიოდა გაზეთი აგრეთვე ტუაფსესთან მოქმედ ფრონტზე. მისი რედაქტორი იყო ავალიანი. როდესაც ამიერკავკასიის ფრონტის ბაზაზე შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი, ჩვენი გაზეთები შეერთდნენ, მახსოვს, აქ მოვიდა სამუშაოდ მწერალი ნიკა აგიაშვილი. გაზეთი რომ გაფართოვდა, 4-გვერდიანი, „პრავდის" ნახევარი ფორმატისა გახდა, შტატის მუშაკად მივიღეთ მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ქერჩისათვის ბრძოლაში საბჭოთა არმიის მამაცობა ლეგენდად იქცა. როცა ჩვენ ფეხი დავდგით ქერჩის მიწაზე, გაზეთში შემოვიღეთ რუბრიკა „ჩვენ ისევ მოვედით!" გამოვიტანე იმათი გვარები, რომლებიც 1941 წელს გმირულად დაიღუპნენ ამავე მიწა-წყალზე.

ჩვენთან სისტემატურად ჩამოდიოდნენ დასახმარებლად მწერლები — სიმონ ჩიქოვანი, ელიზბარ ზედგინიძე, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), ისინი ხვდებოდნენ ქართველ მეომრებს, კითხულობდნენ მათ წინაშე თავიანთ ნაწარმოებებს, გამოდიოდნენ სიტყვებით; 10-12 დღეს რჩებოდნენ ნაწილებში და მერე მიდიოდნენ. რამხელა ამბავია, ამხანაგებო, ეს. სადღაც შორს, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი მეომარი სანგარში ზის, და ამ დროს ქართველი მწერალი მიდის მასთან!.. არაჩვეულებრივ აღფრთოვანებას იწვევდა მწერლების ჩამოსვლა ქართველ მეომრებში.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში პრესას თავისი როლი და ადგილი აქვს. ვფიქრობ, უნდა დაიწეროს ქართული პრესის ისტორია როგორც ერთი მთლიანი ნაშრომი. წერენ ცალკეული ამხანაგები თავიანთ გაზეთებზე, მაგრამ ერთი მთლიანი ნაშრომი არა გვაქვს. ამ ნაშრომებში სრულყოფილად აისახება ყველა საფრონტო მებრძოლი გაზეთის საქმიანობა. შეიძლება ჟურნალისტთა კავშირთან შეიქმნას ავტორთა კოლექტივი 4-5 კაცისაგან. თბილისში არსებობს ყველა გაზეთის კომპლექტი, ყდაში ჩასმული. შევისწავლოთ ამ გაზეთების ისტორია, მათ მიერ განვლილი გზა და დაიწეროს მთლიანი მონოგრაფია ქართულ საფრონტო და სადივიზიო გაზეთებზე. გვქონდა 6 საფრონტო და 8 სადივიზიო ქართული გაზეთი. სულ 14 საბრძოლო გაზეთი იყო. ჩემი წინადადება ასეთია, და დღევან-

392-ე ქართული დივიზიის რედაქციისა და სტამბის მუშაკები ლაშქრობაზე.

დელი შეკრებაც პირველი ნაბიჯია იმისა, რომ პატივი ვცეთ და აღვადგინოთ ფრონტული ქართული გაზეთების საბრძოლო დიდება.

როგორც დავინახეთ, — ამბობს ჟურნალისტი და მწერალი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგე ვლადიმერ თორდუა, — აქ ქართული სამხედრო ჟურნალისტიკა კავკასიის ფრონტზე და ყირიმთან გამომავალი ქართული სადივიზიო გაზეთების რედაქციათა ყოფილი მუშაკებით არის წარმოდგენილი. მუდამაც იწერება სწორედ ამ სადივიზიო გაზეთების თავგადასავალი, რადგან ცოცხალია ბევრი მათი მუშაკი. ეს კარგია. მშურს კიდეც, რომ ამ ამხანაგებს ყველას მეტნაკლებად ერთნაირი მოსაგონარი ჰქონიათ, ერთად უმუშავნიათ და უბრძოლიათ, შეუძლიათ ერთმანეთს დაუდასტურონ, გაუსწორონ, შეუვსონ ნაწერი თუ ნაამბობი. მე ვინღა დამიდასტუროს! სადღა არიან ჩემი ფრონტელი თანამოკალმე კუზნეცოვები თუ პოლიაკოვები, ვინნიკოვები თუ კორბუნოვები, ტაგიევები თუ ქოჩარები, ლუკსები თუ ეიდუსები; სადღა ვიშოვნი ჩემს სადივიზიო თუ საფრონტო გაზეთებს „ვპერიოდ ზა როდინუ", „ნა შტურმ ვრაგა", „სუვოროვეცს", „ლატიშსკი სტრელოკს"!..

პირველ ორ გაზეთში მითანამშრომლია სანგრებიდან და ბრძოლის ველიდან როგორც რიგითს ჯარისკაცს — მეტყვიამფრქვევეს, ხოლო შემდეგ, ოფიცერი რომ გავხდი, მიმუშავნია რედაქციებშიც სამხედრო კორესპონდენტად, ცხადია, რუსულ გაზეთებში.

გასულა თვეები, ერთი ქართულად დაბეჭდილი წიგნი ან გაზეთი, არ მინახავს, ქართულად დამლაპარაკებელი არავინ მყოლია, ხოლო ომის ბოლო ერთ წელიწადს ერთადერთი ქართველი ვიყავი მთელ თორმეტათასიან ლატვიურ დივიზიაში! იქ, საფრონტო გაზეთებში, ობოლივით ვიყავი უთქმელოდ, ქართველ ჟურნალისტთა ოჯახიდან „გაძევებული", მაგრამ ბედად ის „ძიძა" ნამდვილ დედად მექცა — ჩემთვის დაუვიწყარია მოძმე ერთა შვილების გულთბილი დამოკიდებულება ჩემდამი.

მქონდა შემთხვევა რამდენიმე თვეს მემუშავა ბრიანსკისა და კალინინის ფრონტებზე გამომავალ გაზეთ „სუვოროვეცის" ქართულ დუბლში. ...ჯეროვნად არ არის გაშუქებული ამ გაზეთისა და მისი რედაქცია-სტამბის მუშაკების გიორგი დევანოიძის, კოტე ჯოხიძის, რაჟდენ ნოდიას, პეტრე ჯამათაშვილის, ნიკოლოზ ტყემალაძისა და სხვათა ღვაწლი. თუ დღევანდელი ამ შეხვედრის მონაწილე მეტი წილი ამხანაგების სავაზეთო მუშაობა ომის ზღვაში ნახევარკუნძული იყო, „სუვოროველი" ჰგავდა კუნძულს, მოწყვეტილს სამშობლოსაგან, დედაენის საუფლოსაგან. ჩვენი — ერთეული ქართველი ჟურნალისტების — მუშაობა შუაგულ რუსეთში გამომავალ ქართულ საფრონტო გაზეთში ჭეშმარიტ სიმამაცესთან ერთად ნამდვილი პარტიული სინდისიერების გამოხატულება იყო.

შეხვედრამ, იმ ქარცეცხლიან დღეებზე ქართველ თანამოკალმეთა მოგონებებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა და აქვს ბოლშევიკურ, მართალ ბეჭდვით სიტყვას როგორც სამშობლოს დამცველ ბრძოლებში, ისე სამშობლოს სადიდებელ მშვიდობიან შრომაში. ქართველ ჟურნალისტთა თავდადებული, მამაცური სამსახური ცეცხლის ხაზზე საბჭოთა პატრიოტიზმის ჭეშმარიტი მაგალითებია.

ბევრი ვეღარ დაბრუნდა შინ, ვერ შეესწრო გამარჯვების დიად დღესასწაულს. სამარადისო დიდება შინმოუსვლელ ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც სამშობლოსათვის კალმით და ხიშტით ბრძოლაში დაეცნენ!

სურათზე: ფრონტელ ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი „კომუნისტის" რედაქციაში. (მარცხნიდან) ვ. ესაიაშვილი, ხ. თვალჭრელიძე, ნ. კაკუშაძე, ლ. ჭიჭინაძე, ა. კელენჯერიძე, გ. ზაქარაია, ა. კოკილაშვილი, ი. ქოქიაშვილი, ვ. თორდუა, გ. იარალოვი, კ. დობორჯგინიძე, პ. შამათავა, ს. ყურაშვილი და დ. ლომთაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ი. ქოქიაშვილის ფრონტული ჩანახატები.

უკვდავება

5 მაისი კარლ მარქსის დაბადების დღეა

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონსა და შოტლანდიაში მოგვიხდა ყოფნა. ჩვენი მიზანი არ ყოფილა ტურისტივით დავემტკბარიყავით პეიზაჟების ცქერით, თუმცა სიამოვნებას გვანიჭებდა ნისლიანი საღამოები ტემზაზე, შოტლანდიის ლამაზი ტბები და მთები...

დელეგაციაში იყვნენ მეცნიერები, ჟურნალისტები და ხელოვნების მუშაკები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბელორუსიიდან და საქართველოდან, კინომსახიობი ლია ელიავა და ამ სტრიქონების ავტორი. ინგლისში ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, გვქონდა მოხსენებები და საუბრები უკვდავი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ვინახულეთ მარქსისა და ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. დელეგაციის მუშაობას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკის ალექსანდრე ჩიკვაიძის ენერგიულმა საქმიანობამ.

ვიყავით ბრიტანეთის მუზეუმში. კ. მარქსი აქ ხშირად დადიოდა და მუშაობდა „კაპიტალზე" დილის ცისკრიდან საღამოს შვიდ საათამდე. მუდმივ მკითხველებს მკაცრად განსაზღვრული ადგილები ჰქონდათ. მარქსი იჯდა მეხუთე მაგიდასთან, შესასვლელიდან მარჯვნივ, უშუალოდ საცნობარო ლიტერატურის სტენდთან რომ იდგა.

ვდგავართ მდუმარედ და დავცქერით ამ უბრალო მაგიდას, სადაც უკვდავი ადამიანი ქმნიდა გენიალურ ნაშრომს. გონების თვალს ვავლებთ შორეულ წარსულს. იდგა 1867 წლის 16 აგვისტო. ღამის ორი საათია. დამთავრდა უკანასკნელი ღამე „კაპიტალზე" ტიტანური მუშაობისა. ეს იყო გმირობა — გმირობა რევოლუციონერისა და მეცნიერისა, შრომისა, რწმენისა და შთაგონებისა. ამ შრომას უკვდავმა ადამიანმა თითქმის მთელი ცხოვრება მოანდომა.

„კაპიტალი" — ეს არის ფუნდამენტური თხზულება. საეჭვოა მსოფლიო ლიტერატურაში იყოს წიგნი მისი ბადალი ფაქტიური მასალის სიუხვით. მარქსი პირველ ტომში იმოწმებს დაახლოებით 800 წყაროს — წიგნებს, ბროშურებს, საჟურნალო და საგაზეთო სტატიებს, ოფიციალურ და სხვა პუბლიკაციებს. კარგად და სწორად თქვა „კაპიტალზე" თავის დროზე ვერა ზასულიჩმა: „მარქსის მიერ წარმოების კაპიტალისტური წესის მოძრაობის კანონების აღმოჩენა თავისებურად ისეთივე გარდუვალი მეცნიერული ფაქტია, როგორც კეპლერისა და ნიუტონის მიერ ციური სხეულების მოძრაობის კანონის აღმოჩენა".

„კაპიტალის" I ტომის პირველი გამოცემის ტირაჟი არ იყო დიდი — 1.000 ეგზემპლარი. მაგრამ წიგნი გამოსვლისთანავე გავრცელდა. რუსეთში მარქსის „კაპიტალზე" და მის სხვა გენიალურ შრომებზე აღიზარდნენ და დღესაც იზრდებიან უშიშარი რევოლუციონერები მსოფლიოს ყველა კუთხეში. ამასთან დაკავშირებით ცოცხლდება კიდევ ერთი დეტალი, 1939 წელს „მნათობში" დაბეჭდილი კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის მოგონებიდან:

„— ეს ამბავი ბათუმის ციხეში მოხდა, — გაიხსენა ამხანაგმა სტალინმა, მოიყვანეს დაპატიმრებული ჯოხაძე, ახალგაზრდა ბოლშევიკი — ჯმუხი, მაგარი ბიჭი. ჯოხაძემ მთხოვა გამეცნო მისთვის ქართულ ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ერთმანეთთან შეხვედრა ჩვენ არ შეგვეძლო, მაგრამ, რადგან ჩვენი კამერები მეზობლად მდებარეობდნენ, მე ჩემს კამერაში „მანიფესტს" ხმამაღლა ვკითხულობდი და მეზობელ კამერაში მოსმენა შეეძლოთ.

ერთხელ როგორღაც ჩემი „ლექციების" დროს დერეფნიდან ფეხის ხმა გავიგონე, ლექცია შევწყვიტე. უცებ მესმის:

— რათ გაჩუმდი, განაგრძე ამხანაგო!

ფანჯარასთან მივედი. ლექციის გაგრძელებას მთხოვდა გუშაგი ჯარისკაცი".

და იქვე: „...1905 წლის რევოლუციის გარიჟრაჟის პერიოდს სტალინი ამთავრებს კარლ მარქსის „კაპიტალის" უცნაური ექსპროპრიაციის ეპიზოდით:

„— თბილისში ცხოვრობდა ერთი საკმაოდ ცნობილი „ხალხოსანი" ბუკინისტი. მე სემინარიაში ვსწავლობდი. ჩვენ მარქსისტული წრე გვქონდა. ხსენებულ ბუკინისტს როგორღაც ხელში ჩაუვარდა მარქსის „კაპიტალის" პირველი გამოცემის პირველი ეგზემპლარი. გაითვალისწინა „მოთხოვნილება" ამ წიგნზე და გადაწყვიტა წიგნის გაძვირება. ფასი მეტად დიდი იყო — კვირაში 15 მანეთი: ჩვენმა წრემ პირდაპირ უზალთუნობით მოაგროვა ფული. ჩვენთვის ძნელი იყო ჩვენი ღარიბი ბიუჯეტიდან ასეთი თანხის გამოძებნა. ჩვენ აღშფოთებული ვიყავით ამ „ხალხოსანის" განმანათლებელი „პოლიტიკით.

ხელთ ვიგდეთ სანატრელი ტომი და სამი დღით დავაგვიანეთ უკან დაბრუნება, ბუკინისტმა დამატებით ქირა მოგვთხოვა, ჩვენც გადავუხადეთ, უნდა გენახათ მისი აღშფოთება და გაბოროტება, როცა დაინახა, რომ ჩვენ „კაპიტალის" ექსპროპრიაცია მოვახდინეთ: წინ გადავუშალეთ „კაპიტალის" ხელნაწერთა ტომი, ათ დღეში ჩვენ მიერ უკანასკნელ სტრიქონამდე გადაწერილი..."

და კიდევ: თუ როგორ „დააპატიმრეს" კარლ მარქსი ოდესაში. ისტორიის დაუვიწყარი ფურცლები მოგვითხრობენ: ოდესის მცხოვრებლები ერთ-ერთი პირველი იყვნენ, ვინც რუსეთში კარლ მარქსის სახელი გაიგო. ეს ქალაქი ხომ სამხრეთის რუსეთის საზღვაო კარია. ნავსადგურის მუშებსა და მეზღვაურებს, რომლებიც თავიანთი მუშაობის პირობებით დაკავშირებული იყვნენ ევროპის ნავმისადგომებთან, სისტემატური კავშირი ჰქონდათ რუს პოლიტემიგრანტებთან. მათი დახმარებით საზღვარგარეთიდან რუსეთში იგზავნებოდა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის აკრძალული წიგნები, I ინტერნაციონალის წესდება და სხვ.

პოლიციის დეპარტამენტი წერილობით ავალებდა ოდესის ჟანდარმერიის სამმართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმისათვის, რომ „ოდესა მთავარი პუნქტია ამ თხზულებების გავრცელებისა... და რომ უაღრესად საჭიროა გააძლიეროთ საიდუმლო მეთვალყურეობა ამ საქმეზე და გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა ამ გამოცემათა როგორც შემოზიდვის ხერხების, ისე იმ პირთა გამოსავლინებლად, ვინც მათ შემოზიდვას და გავრცელებას აწარმოებს".

მაგრამ არავითარ საზღვრებს და მკაცრ რეპრესიებს არ ძალუძდათ ხელი შეეშალათ მარქსიზმის იდეების ძლევამოსილი მსვლელობისათვის.

კარლ მარქსის გარდაცვალების შემდეგ, ფრიდრიხ ენგელსმა ოდესელი სტუდენტების თხოვნით და მათი სახელით გვირგვინით შეამკო თავისი დიდი მეგობრის, უკვდავი მარქსის საფლავი.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა, რომ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ ქალაქის მოწინავე ადამიანებში.

1871 წლის 29 სექტემბერს (11 ოქტომბერს) ოდესის გაზეთ „ნოვოროსიისკი ტელეგრაფში" გამოქვეყნდა მარქსის მოკლე ბიოგრაფია, ხოლო 1872 წელს გამოიცა რუსეთში „კაპიტალის" პირველი ტომი. საყურადღებოა ის, თუ როგორ გამოეხმაურა ამას მეფის ცენზორი სკურატოვი. იგი თვლიდა, რომ „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას ცოტანი წაიკითხავენ რუსეთში, ხოლო უფრო ცოტანი თუ გაიგებენ".

მაგრამ ცენზორი შეცდა. ამ უკვდავმა ნაშრომმა მაშინვე ცხოველი ინტერესი გამოიწვია. „კაპიტალის" სამი ათასი ეგზემპლარი რამდენიმე თვეში გაიყიდა. მარქსის ყოვლისმძლე მოძღვრება ეუფლებოდა ადამიანთა გონებასა და გულს.

მეფის მთავრობა განსაკუთრებით შეაშინა ხმებმა იმის შესახებ, რომ შეიძლება კარლ მარქსი და I ინტერნაციონალის მოღვაწეები გზად ოდესის ნავსადგურში შემოვიდნენ. III განყოფილებამ ლონდონიდან მიიღო ცნობა, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბელადი რუსეთში მოდის სხვა სახელით.

ეს რომ შეიტყვეს, პეტერბურგელმა მოხელეებმა საჩქაროდ შეიმუშავეს სპეციალური წესები „იმ პირებზე მეთვალყურეობის ხერხების შესახებ, ვინც რუსეთში ოდესის ნავსადგურის გავლით შემოვა". დედაქალაქიდან ოდესის ჟანდარმერიის სამმართველოში ზედიზედ აგზავნიდნენ ცირკულარებს. გემის მოსვლასა და გასვლას მეთვალყურეობდა საიდუმლო აგენტებისა და ჯაშუშების დიდი ჯგუფი.

და აი 1872 წლის 18 მაისს ნავსადგურში ჩამოდგა სამგზავრო გემი, რომელიც ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან. იგი მაშინვე ჟანდარმების ალყაში აღმოჩნდა. მათ „სარდლობდა" ქალაქის თავი. სწორედ მათ სტაცეს ხელი ინგლისელ ვაჭარს, მარქსის თანამოგვარეს.

დარწმუნდნენ რა თავიანთ შეცდომაში, ჟანდარმებმა მაინც ჩამორთვეს პასპორტი ვაჭარს, ხოლო სასტუმროს იმ ნომერს, სადაც შემდეგ ეს ვაჭარი გაჩერდა, პოლიციელი მიუჩინეს. ნოტინჩემში სავაჭრო სახლის შეურაცხყოფილმა მფლობელმა იული ალექსანდრ მარია მარქსმა, რომლის პასპორტიც გაცემული იყო ლორდ გრენფილის მიერ, ინგლისის კონსულთან იჩივლა. მაგრამ კონსული განსაკუთრებული ყურადღებით არ მოეკიდებია ამ საჩივარს. უფრო მეტიც, მან მოიწონა კიდევაც ადგილობრივი ადმინისტრაციის ასეთი ნაბიჯი.

ასე ძლიერი იყო შიში მარქსისადმი.

ოდესის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა კნომმა ჟანდარმთა შეფს გაუგზავნა საიდუმლო ცნობა, რომელშიც სთხოვდა: „თუ არის უფრო ზუსტი ნიშნები და უფრო ზუსტი ცნობები იმ მარქსის პიროვნების დასადგენად, რომელიც რუსეთში ჩამოსვლისას უნდა დაგვეპატიმრებინა მაცნობეთ ისინი, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გაუგებრობანი".

რამდენიმე დღის შემდეგ ოდესაში მიიღეს კარლ მარქსის ფოტოსურათი. ერთი წლის შემდეგ საზღვარზე გადმოსვლისას დააპატიმრეს ვიღაც წვეროსანი ვალასი. იგი ასევე შეცდომით ჩათვალეს „კომუნისტების მთავარ ბელადად"—კარლ მარქსად, რომელიც „აპირებდა რუსეთში შემოღწევას ბოროტი ზრახვებით".

ცხადია კარლ მარქსი დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთის ისტორიისადმი, მისი ხალხის ცხოვრებისადმი. მაგრამ იგი რუსეთში არ ჩამოსულა. ამიტომ ჟანდარმთა თადარიგი ამაო აღმოჩნდა.

ინგლისელები შეუდარებელი თავაზიანობით გამოირჩევიან: არ დამავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში პირველად არ ვიყავი, როგორ ამებნა გზა ჰაიგეტის სასაფლაოსაკენ. გზის სწავლება ვთხოვე სამუშაოზე მიმავალ ახალგაზრდა დოკერს.

შემატყო თუ არა უცხოელი ვიყავი, უსიტყვოდ შებრუნდა და გამიძღვა. მან მიჩვენა ქუჩა, რომელიც სასაფლაოსაკენ მიემართებოდა.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე.

მან ყურადღებით შემათვალიერა და მკითხა: რაშენ?

— ჯორჯია! გაიღიმა და თან გამომყვა. იგი რაღაცას მეუბნებოდა, განუწყვეტლივ იქნევდა ხელებს და იმეორებდა: „ჯორჯიან, დანსს! ფაინ! ხოროშო! საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის ოსტატობა მას ძლიერ მოსწონებია.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ როგორც ძველი მეგობრები. მე მას, როგორც ამ დელეგაციის ხელმძღვანელმა, მივეცი ორი მოსაწვევი ბარათი კინოფილმების ნაციონალურ თეატრში დასასწრებლად, სადაც 6 აპრილს იხსნებოდა ლენინისადმი მიძღვნილი ფილმების დემონსტრირება.

ვინახულეთ ჰაიგეტის სასაფლაო, სადაც დაკრძალულია კარლ მარქსი. მაღალ კვარცხლბეკზე მისი ბიუსტია. ქვემოთ ოქროს ასოებით ამოკვეთილია ცნობილი სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეიცვალოს".

ლონდონში მარქსის საფლავის ადგილი შეტანილი არ არის ოფიციალურ ცნობარებსა და ქალაქის გზამკვლევებში. მიუხედავად ამისა, ადამიანები პოულობენ მისკენ მიმავალ გზას.

...ძალიან გაგვიხარდა, როდესაც ვნახეთ ახალგაცნობილი თავის მეუღლესთან ერთად საღამოზე, რომელიც გახსნა სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში მიხეილ სმირნოვსკიმ. სტუმრები აღფრთოვანებით უყურებდნენ ნაწყვეტებს კინოფილმებიდან „ოქტომბერი", „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი პოლონეთში"...

აინთო სინათლე. დარბაზში მსხდომნი ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან საღამოს მომწყობთ და საბჭოთა ქვეყნის სტუმრებს, იმ ქვეყნის სტუმრებს, სადაც დიდმა ლენინმა მარქსის უკვდავი იდეები განახორციელა.

მოსკოვში, მარქსისა და ენგელსის მუზეუმში მნახველთა ყურადღებას იპყრობს მედალიონი, რომელთანაც დიდხანს ჩერდებიან ექსკურსანტები. ამ მედალიონს მარქსის ერთ-ერთი ქალიშვილი ატარებდა. მასში იყო მარქსის პორტრეტი.

ბევრგან აკრძალულია ამ უკვდავი ადამიანის შრომები, მისი პორტრეტის გამოჩენა. ასობით და ათასობით უშიშარი რევოლუციონერი გულით ატარებდა და ატარებს მის ნათელ ხსოვნას, სწავლობდა და სწავლობს მის შრომებს. წითელ დროშებთან ერთად გამოჰქონდათ და გამოაქვთ დემონსტრაციებზე, ბარიკადებზე მისი პორტრეტი, რისთვისაც ემუქრებოდათ და ემუქრებათ ციხე და გადასახლება.

მათ არ აშინებდა და არ აშინებს ეს. მარქსის მოძღვრებამ გაუძლო მკაცრ ისტორიულ შემოწმებას. კომუნიზმის იდეები ჩვენი ეპოქის დიადი, ყოვლისმძლე იდეებია. მათი ზეიმი მთელ მსოფლიოში გარდუვალია, ისევე როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა.

ახლა არ არის დედამიწაზე ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს, ვინ არის მარქსი.

სანამ დედამიწაზე ადამიანი ცოცხლობს, კარლ მარქსის სახელიც იცოცხლებს.

ფ. მახარაძე.

მოსკოვი. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მუზეუმში გახსნილია ახალი ექსპოზიცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. მისი მასალები მოგვითხრობენ ვ. ი. ლენინზე — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალურ განმგრძობზე. გამოფენაზე წარმოდგენილია კ. მარქსის ნაწარმოებები ვ. ი. ლენინის მონიშვნებით, კ. მარქსის ზოგიერთი ნაშრომის კონსპექტები, რომლებიც გაკეთებულია ვლადიმერ ილიას-ძის მიერ.

წარმოდგენილი მასალები იძლევიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელების მკაფიო სურათს.

სურათზე: ახალი ექსპოზიციის სტენდებთან.

ფოტო მ. ჩერედინცევისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

გ. თ. კარანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე.

შეწყდა შინაარსიანი ცხოვრება კომუნისტური პარტიის ერთგული შვილისა, რომელმაც მთელი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს.

გ. კარანაძე დაიბადა 1902 წელს აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1918 წელს სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოსწავლე, იგი აქტიურად ჩაება ახალი სენაკის კომუნისტური ორგანიზაციის რევოლუციურ საქმიანობაში. ასრულებდა მთელ რიგ დავალებებს: ავრცელებდა მენშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებს, გადაჰქონდა არალეგალური კომუნისტური ლიტერატურა და სხვ.

1920 წლიდან გ. კარანაძე კავშირს ამყარებს სოფელ სამიქაოს ახალგაზრდობის „სპარტაკის" კომუნისტურ ორგანიზაციასთან და მალე მისი ხელმძღვანელი ხდება. იმავე წელს ირჩევენ „სპარტაკის" აბაშის არალეგალური რაიკომის წევრად. ამ პერიოდში იგი მენშევიკური მთავრობისაგან მკაცრ დევნას განიცდიდა.

გ. კარანაძე 1921 წლის თებერვალში იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. 1921-1924 წლებში მუშაობდა კომკავშირის აბაშის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად, სენაკისა და დუშეთის სამაზრო კომიტეტების ინსტრუქტორად, დუშეთის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ კი ზემო სვანეთის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივნად. იგი მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციაში.

1925 წელს გ. კარანაძე მიღებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის წევრად. მალე მას აწინაურებენ პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ, შემდეგში კი მუშაობს პარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორად.

1929 წელს გ. კარანაძე მობილიზებულ იქნა სამუშაოზე მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში. 1931 წელს აირჩიეს საქართველოს კპ (ბ) გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად, 1934 წელს — ყარაიაზის რაიკომის პირველ მდივნად. 1934-1937 წლებში მუშაობდა პარტიის თბილისის 26 კომისრისა და სტალინის რაიკომების პირველ მდივნად, შემდეგ კი პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივნად. 1938 წლიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში მუშაობს. სამამულო ომის მძიმე წლებში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ასრულებდა პარტიისა და მთავრობის პასუხსაგებ დავალებებს, იყო ყირიმში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. აქტიურად მონაწილეობდა სევასტოპოლისა და სხვა ქალაქების დაცვაში. თავი გამოიჩინა აგრეთვე კავკასიის დაცვაში.

გენერალი გ. კარანაძე 1943, 1944 და 1945 წლებში მონაწილეობდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრების მომსახურებაში. 1943-1945 წლებში გ. კარანაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზეა.

1957 წლიდან გარდაცვალებამდე იგი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მან დიდი მუშაობა გასწია ტყის სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის.

გ. კარანაძე მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის წევრად, სსრ კავშირის რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს გ. კარანაძის დამსახურება საბჭოთა სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი დროშის ოთხი ორდენით, კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მრავალი მედლით. დაჯილდოებული იყო აგრეთვე ბრიტანეთის იმპერიის კომანდორის ორდენით.

მომთხოვნი და პრინციპული მუშაობაში, თავმდაბალი, გულთბილი და ადამიანური ცხოვრებაში,— ასეთად იცნობდა გ. კარანაძეს ყველა, ვისაც ურთიერთობა ჰქონია მასთან.

ნათელი ხსოვნა სპეტაკი, უშიშარი და უტეხი ნების კომუნისტისა, სამშობლოს ერთგული პატრიოტის გ. კარანაძისა, მებრძოლი მეგობრისა და გულისხმიერი ამხანაგისა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გ. თ. კარანაძის დამკრძალავი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები მ. ი. კუჭავა (თავმჯდომარე), გ. გ. გელაშვილი, ნ. ა. ჟვანია, დ. ზ. ქიტიაშვილი, ვ. ი. შადური.

გ. თ. კარანაძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

გ. თ. კარანაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 5 და 6 მაისს საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

გადაჭრით გმობენ

ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საქდესი). ქვეყნის ბევრი უნივერსიტეტის ქალაქში მიმდინარეობს სტუდენტთა გამოსვლები, რომლებიც გმობენ კამბოჯაში ამერიკის ჯარების შეჭრას.

კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტებმა 4 მაისს დაიწყეს გაფიცვა ამ აგრესიული აქციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მათ მხარი დაუჭირა ბევრმა მასწავლებელმა.

ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთის რაიონების 20 უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლებმა, რომლებიც ფილადელფიაში პენსილვანიის უნივერსიტეტში შეიკრიბნენ, მოუწოდეს მოწაფეთა სტუდენტთა საერთო ეროვნული გაფიცვები.

სტუდენტთა დემონსტრაციების გასაფანტავად ხელისუფალნი ძალას მიმართავენ. ბევრ ქალაქში სტუდენტთა წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიცია და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები, არიან დაჭრილებიც.

ჰანოი, 4 მაისი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის რეჟიმის გეგმებს განახორციელოს კამბოჯიდან სამხრეთ ვიეტნამის ზონაში ვიეტნამური ეროვნების მოქალაქეთა იძულებითი რეპატრიაცია, რომლებსაც დროებით კონტროლს უწევენ ამერიკა-საიგონის ჯარები, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ კამბოჯიდან სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამელთა რეპატრიაციის ნამდვილი მიზანია, გაიწვიონ ისინი მარიონეტულ არმიაში და აიძულონ იომონ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ამ გეგმებს, ხაზგასმულია განცხადებაში.

ბელგრადი, 4 მაისი. (საქდესი). იუგოსლავიის ყველა ხალხის სახელით, ჩვენი მშრომელების სახელით პროტესტს ვაცხადებ და გადაჭრით ვგმობ ისეთ აგრესიულ მოქმედებას, რომელსაც სჩადიან, მაგალითად, კამბოჯაში, ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში, თქვა იუგოსლავიის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ბროზ ტიტომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა რიეკაში ფაშისტ დამპყრობთაგან ამ ქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ამერიკის ჯარები საიგონის რეაქციულ ფაშისტურ ჯარებთან ერთად, თქვა ტიტომ, თავს დაესხნენ ქვეყანას და ამრიგად ინდოჩინეთში მესამე ფრონტი გახსნეს.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ი. ბროზ ტიტომ განაცხადა, რომ ისრაელი მხოლოდ იარაღია იმათ ხელში, ვისაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებს ხმელთაშუა ზღვაზე. ისრაელს რომ არ ჰყოლოდა ასეთი მფარველები და არ ჰქონოდა ყველაზე თანამედროვე ამერიკული იარაღი, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, იგი ასე ვერ მოიქცეოდა.

დაქირავებულნი ისრაელის არმიაში

კაირო, 4 მაისი. (საქდესი). 3.500 უცხოელს 12 სახელმწიფოდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, კანადიდან და ავსტრალიიდან, იყენებენ ისრაელის არმიაში უმთავრესად სამხედრო-საჰაერო ძალებში, საჰაერო დაცვაში, სამხედრო-საზღვაო ძალებსა და ჯავშანსატანკო ჯარებში, წერს ყოველკვირეული „როზ-ელიუსეფის" ახლახან გამოსულ ნომერში ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი იბრაჰიმ ეზათი.

ეს დაქირავებულნი არ არიან ებრაელნი და არ მიუღიათ ისრაელის ქვეშევრდომობა. გარდა ამისა, ისრაელის არმიაში მსახურობს 10 ათასამდე ებრაელი, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, ე. ი. პირები, რომლებიც ისრაელის პასპორტთან ერთად ინარჩუნებენ იმ ქვეყნის ქვეშევრდომობას, საიდანაც ისინი ჩამოვიდნენ. ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს პირები აბარებენ ისრაელის პასპორტებს, მეტ წილად მოგონილ სახელებზე გაფორმებულს და იღებენ თავიანთ ნამდვილ დოკუმენტებს სამშობლოში გამგზავრების წინ.

ისრაელის 1967 წლის აგრესიის წინ, განაგრძობს ეზათი, დასავლეთის ყველა დედაქალაქში ისრაელის საელჩოებს ჰქონდათ სპეციალური ბიუროები, რომლებიც აგროვებდნენ მოხალისეებს და განაგებდნენ მათ გაგზავნას ისრაელში ისრაელის საავიაციო კომპანია „ელ-ალის" თვითმფრინავებით დასავლეთის დედაქალაქთა დასტურით, და თანხმობით.

ეხება რა ინგლისის მთავრობის განცხადებებს, რომ ისრაელის არმიაში არ არიან ინგლისელი მოქალაქენი, ეზათს მოჰყავს დამამტკიცებელი საბუთები, რომ ინგლისის სამხედრო სარდლობა მონაწილეობას იღებდა ისრაელის 1967 წლის აგრესიის გეგმების შემუშავებაში.

ავტორი წერს, რომ ინგლისის სარდლობის მიერ შემუშავებული საიდუმლო გეგმის საფუძველზე დაშვებული იყო ისრაელის დასაცავად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ინგლისის ჩარევის შესაძლებლობა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა

კაირო, 4 მაისი. (საქდესი). პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის თავმჯდომარეობით რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა.

სხდომაზე, იუწყება გაზეთი „ალ-აჰრამი", პრეზიდენტმა ნასერმა ილაპარაკა პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა, და საერთაშორისო ვითარების ზოგიერთ საკითხზე, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი შეეხო აგრეთვე სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს ამ ბოლო დროს.

შემდეგ მინისტრთა საბჭომ განიხილა პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებსაც ახლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ახორციელებს არაბული ქვეყნების მოქმედების კოორდინაციის მიზნით.

მინისტრთა საბჭომ განიხილა დაგეგმვის მინისტრის საიდ გაბალის მოხსენება განვითარების ახალი გეგმის მიხედვით კაპიტალდაბანდებათა განაწილების შესახებ. დისკუსიამ ამ საკითხზე ცხადყო, აღნიშნავს გაზეთი „ალ-აჰრამი", რომ ეგვიპტის ეკონომიკა განუწყვეტლივ ვითარდება.

სროლა სუეცის არხზე

კაირო, 4 მაისი. (საქდესი). გუშინ საღამოს ეგვიპტის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ისრაელთა ავტოკოლონას, რომელმაც იარაღი და საბრძოლო მასალა მიიტანა ისრაელის ჯარების პოზიციებზე სუეცის არხის სამხრეთ სექტორში. პირდაპირი მოხვედრის შედეგად, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენელმა, ისრაელის პოზიციებზე მოხდა მძლავრი აფეთქებანი და ხანძრები, არტილერიის სროლა დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

ტელეტაიპის ლენტიდან

მორიგი პროვოკაცია

● ამანი, 4 მაისი. (საქდესი). ისრაელის მხედრიონი არ წყვეტს შეიარაღებულ პროვოკაციებს იორდანიის წინააღმდეგ. იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა აქ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა 3 მაისს საარტილერიო ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს იორდანიის პოზიციებს ვადი ალ-იაბისის რაიონში (მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთი სექტორი). ისრაელის არტილერიის ცეცხლის დაშენის შედეგად დაიხოცა ორი მშვიდობიანი მცხოვრები. იორდანიის მხარემ ცეცხლითვე უპასუხა. სროლა მცირე შესვენებით სამ საათამდე გაგრძელდა.

პენტაგონი აღიარებს

● ვაშინგტონი, 4 მაისი. (საქდესი). პენტაგონმა აღიარა, რომ 120-მდე ამერიკულმა ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენმა 1 და 2 მაისს დაბომბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ დ. ჰენკინმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „წინათაც მიმართავდნენ და კვლავაც მიმართავენ „ამგვარ აქციებს".

ახალი საესკადრო ნაღმოსანი

● ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საქდესი). ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი) მწყობრში ჩადგა მესამე რაკეტული საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ააგეს დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის. მას უწოდეს ყოფილი ჰიტლერელი ფელდმარშლის რომელის სახელი.

უფრო ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებისათვის გაგზავნეს ორი სხვა რაკეტული საესკადრო ნაღმოსანი — „ლუტიენსი" და „მელდერსი". პირველს ეწოდა ყოფილი ჰიტლერელი ადმირალის სახელი, მეორეს — ყოფილი ფაშისტი მფრინავისა.

მაქს რაიმანის განცხადება

ბონი, 4 მაისი. (საქდესი). გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა მოუწოდა დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასს, ახალგაზრდობასა და ყველა პროგრესულ მოქალაქეს აქტიურად იბრძოლონ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გაუქმებისათვის.

როგორც მ. რაიმანმა აღნიშნა, თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესრულდა ანტიფაშისტთა ფიცი, რომლებიც ჰიტლერიზმის დამარცხების შემდეგ მოუწოდებდნენ ნაციზმისა და ომის წინააღმდეგ მტკიცე და დაუნდობელი ბრძოლისათვის, აგრეთვე განხორციელდა პოტსდამის შეთანხმების პრინციპები, დასავლეთ გერმანიაში კვლავ ბატონობენ ძველი ძალები, რომლებიც ახორციელებენ აღვირახსნილი ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ანტიკომუნისტური პროპაგანდის პოლიტიკას.

მაქს რაიმანმა მოითხოვა, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველზე და ხაზი გაუსვა, რომ ეს არის „ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის გადამწყვეტი წანამძღვარი".

გაზები ოკინავაში რჩება

ტოკიო, 4 მაისი. (საქდესი). ვაშინგტონმა კვლავ გადაწყვიტა გადადოს ოკინავიდან ნერვულ-პარალიზური გაზის გატანის ვადა, იუწყება ვაშინგტონიდან გაზეთ „ასახის" კორესპონდენტი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ, წერს კორესპონდენტი, გადაწყვიტა, კიდევ რამდენიმე ხნით დატოვოს იგი ოკინავაში.

იმის შესახებ, რომ ამ საწყობის ქიმიური იარაღი არის ოკინავაში, გაიგეს გასული წლის შუა ხანებში მას შემდეგ, რაც ოცზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი მძიმედ მოიწამლა საწყობებიდან გაზის გადინების შედეგად. ამან დიდი შეშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია ოკინავასა და იაპონიაში.

მსოფლიო დღეს

ბარბაროსული აქტები

ჰანოი, 4 მაისი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

1970 წლის 1 და 2 მაისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე ჯგუფად გაგზავნა 100-ზე მეტი თვითმფრინავი და მასიურებულად დაბომბა დასახლებული

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

◆

პუნქტები ლეთხიუის, კუანგმინის (კუანგბინის პროვინცია) და ნგიადანის, დიენტიაუს (ნგეანის პროვინცია) ოლქებში. ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ასობით ფუგასური და საფანტიანი ბომბი, დაყოვნებული მოქმედების ბომბი და გაუშვეს ბევრი რაკეტა. ამის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის 20 ბავშვი.

ამერიკის შეერთებული შტატების ეს ბარბაროსული აქტები, აღნიშნულია განცხადებაში, უხეშად არღვევენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას, ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებას სავსებით შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა. ეს არის სისხლისმღვრელი დანაშაული ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, წინასწარ განზრახული აქცია, რომელიც ხორციელდება კამბოჯის წინააღმდეგ ამერიკის აშკარა აგრესიისა და მთელ ინდოჩინეთზე ომის გავრცელებასთან ერთად.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ამხილებს და გულისწყრომით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ საომარ აქტებს, მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფა და აკისრებს პასუხისმგებლობას ყველა იმ შედეგისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ ომის ესკალაციის ახალი აქტიდან.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნის დღესასწაული

მოსკოვი, 4 მაისი. (საქდესი). მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები უკვე 20 დღეა ათვალიერებენ წიგნების საერთაშორისო გამოფენის პავილიონებს, რომელიც სოკოლნიკის პარკშია გახსნილი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა მიმდინარეობს დევიზით „ლენინი და მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნა".

4 მაისი ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნის ნამდვილი დღესასწაული იყო, რომელმაც საზეიმო ვითარებაში ჩაიარა და ცხადყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ხალხთა კულტურის უდიდესი აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის წიგნის დღესასწაულზე მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, მოსკოვის კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი, მომმე ქვეყნების წიგნის გამომცემელნი. ჩამოვიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები მეცნიერთა მწერალთა, პოეტთა შემადგენლობით.

დღესასწაული შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის წევრმა, წიგნის ვაჭრობის „სოიუზკნიგას" სრულიად საკავშირო გაერთიანების მმართველმა ა. კოსტაკოვმა. მან მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებს მიულოცა დღესასწაული.

ქართველ წიგნის გამომცემელთა, პოლიგრაფისტთა და წიგნის გამავრცელებელთა 7-ათასიანი კოლექტივის სახელით გამოფენის მონაწილეებს, მის სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ახვლედიანი.

მან ხაზგასმით აღნიშნა რუსული კლასიკური ლიტერატურის ნაყოფიერი გავლენა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურების ურთიერთგამდიდრებაზე, იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში დაიწყო აღორძინებისა და აყვავების ერა.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა ი. ნაზაროვმა და ა. უტმაზიანმა შეკრებილთ უამბეს, თუ რა დიდ აყვავებას მიაღწია ჩვენი მეზობლების კულტურამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვითეულ ამ რესპუბლიკაში დედაენაზე გამოცემულ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ტირაჟმა 3 მილიონ ცალს გადააჭარბა.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მწერალ ი. ანდრონიკაშვილის გამოსვლა. მან თქვა, რომ ახლანდელი წიგნის საერთაშორისო გამოფენა ჭეშმარიტი დღესასწაულია.

წიგნის გამომცემლებსა და წიგნის მოყვარულთ მიულოცეს თავიანთი გამოსვლები ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა პროფესორმა ვ. ბერიძემ, პოეტებმა ი. სეიდოვმა, ს. კაპუტიკიანმა, ე. ნიკოლაევსკაიამ, ი. სნიგოვმ.

წიგნის საერთაშორისო გამოფენის ბულგარული ექსპოზიციის ხელმძღვანელმა ნ. კონსტადინოვმა სამ რესპუბლიკას საჩუქრად გადასცა ლენინური „ისკრის" ფოტოპირები, რომელსაც ბულგარელი კომუნისტები ძნელ რევოლუციამდელ წლებში ფარულად გზავნიდნენ რუსეთში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნის დღესასწაულის მონაწილეთათვის დიდი კონცერტი გამართეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ხელოვნების ოსტატებმა.

5 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციები საწარმოებში შეხვდებიან დედაქალაქის მშრომელებს.

საქართველოს მთა-ბარში

„კომუნისტის" ინტერვიუ

შინ და გარეთ

ლენინის ბარელიეფი ხვამლზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამას წინათ ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურელებმა მასობრივი ტურისტული ლაშქრობა მოაწყეს ხვამლის მთაზე.

ლაშქრობაში 100 ჭაბუკი და ქალიშვილი იღებდა მონაწილეობას. ახალგაზრდებმა ღამე მთის ძირში გაათიეს, მოაწყეს ტურისტული ბანაკი, ხოლო მეორე დღეს ხვამლის მთაზე ავიდნენ და მის მაღალ მწვერვალზე დიდი ლენინის ბარელიეფი დადგეს.

ფაბრიკა მხრებს შლის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა სამკერვალო ფაბრიკის ოთხსართულიანი ნაგებობა, რომელიც აშენა ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის „ზესტაფონმშენის" სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი — საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, ლენინის ორდენოსანი ს. მახათაძე).

საექსპლოატაციოდ გადაეცა ფაბრიკის პირველი რიგი — ხუთი აგრეგატი 150 საკერავი მანქანით. მკერავები დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მალე ფაბრიკა სრული სიმძლავრით ამოქმედდება და ყოველწლიურად მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

დღეს, 5 მაისს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ხსნის საზაფხულო სეზონს. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა ფილარმონიის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. უიფიანს და რამდენიმე კითხვით მიმართა.

— რომელი კოლექტივები გვეწვევიან საგასტროლოდ?

— სეზონს გახსნის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო", 12 მაისიდან კი ჩვენი მაყურებელი ნახავს ლენინგრადის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის — „მომღერალი გიტარების" კონცერტებს. 21 მაისიდან გასტროლებს იწყებს ჩეხოსლოვაკიელი პიანისტი ქალი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ი. კრემპეროვა. პარალელურად კონცერტებს გამართავს სომხეთის სსრ სახალხო არტისტი არტურ აიდინიანი.

თვის ბოლოს მაყურებელთან პირველი შეხვედრა მოუწყეთ თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის სტუდენტებს. ეს სასწავლებელი მხოლოდ ორი წელია შეიქმნა და სტუდენტთა „პირველი ნაბიჯები" უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მაყურებელს. საინტერესო იქნება აგრეთვე, იაპონიის ესტრადის მსახიობთა გამოსვლა, რომელიც 29 მაისს თბილისში იწყება და შემდეგ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც გაგრძელდება.

მაისში გვეწვევა ცნობილი ფრანგი პიანისტი ქალი სესილ უსე, რომელიც ჩეხოსლოვაკიელ ი. კრემპეროვასთან ერთად რამდენიმე კონცერტს გამართავს. ივნისის პირველი რიცხვებიდან

ახალი საზაფხულო საკონცერტო სეზონი

კი ჩვენი სტუმარი იქნება ლენინგრადის თოჯინების სახელმწიფო დიდი თეატრი.

— სად გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის ანსამბლები ამჟამად?

— თითქმის ორი თვეა, რაც საქართველოს ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით კონცერტებს მართავს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. მათი გასტროლები საზღვარგარეთ 15 ივნისამდე გასტანს.

ფილარმონიის მოცეკვავეთა ჯგუფი „დოლური" რამდენიმე დღის წინათ ჩავიდა იაპონიაში. ისინი კონცერტებს მაისის ბოლომდე განაგრძობენ. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დიელო" #15 კაცის შემადგენლობით ჩავიდა აფრიკაში. ალჟირს გარდა, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან, თავიანთ ხელოვნებას აფრიკის კიდევ რვა ქვეყანაში უჩვენებენ.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ა. კავსაძის ხელმძღვანელობით „ლენინის მარშრუტით" კონცერტები აქვს მოსკოვსა და ლენინგრადში. შემდეგ ისინი რსფსრ სხვა ქალაქებსაც ეწვევიან. „ლენინის მარშრუტით" მოგზაურობენ აგრეთვე ჩვენი საესტრადო ანსამბლები „ჩანგი", „ივერია", „ციცინათელა", „სიმღერა თბილისზე". ისინი ეწვევიან უკრაინას, რუსეთის სხვადასხვა ქალაქს, შუა აზიის რესპუბლიკებს.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ზედგინიძე ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიციით კონცერტებს მართავს კრასნოიარსკის მხარეში.

ჩვენი ფილარმონიის „ნაკრებმა" 37 კაცის შემადგენლობით აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინის დღეებისადმი მიძღვნილ საესტრადო კონცერტებში, რომლებიც გაიმართა მოსკოვის ოქტომბრის სახელობის სასახლესა და ესტრადის თეატრში. აქ გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. მაისურაძე, დამსახურებული არტისტის მ. გოძიაშვილის „ტრიო", ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ციცინათელა", მომღერალთა გუნდი ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, მოცეკვავეთა გუნდი ო. პაპიაშვილის ხელმძღვანელობით და სხვ.

მაისის შუა რიცხვებიდან „ლენინის მარშრუტით" მყოფ კოლექტივთა რიცხვს შეემატება საქართველოს კამერული ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის მ. იაშვილისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. პოლიტკოვსკის ხელმძღვანელობით, მომღერალთა ანსამბლი „გორდელა". მათ 15 მაისს კონცერტი ექნებათ მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, შემდეგ კი ეწვევიან რიაზანს, ვორონეჟს, იაროსლავლს და რუსეთის სხვა ქალაქებს.

— საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს თუ მოემსახურებით?

— რა თქმა უნდა. ამჟამად რესპუბლიკის ფარგლებში გასტროლებზეა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ვარაზი" რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. კიკნაძის ხელმძღვანელობით. საქართველოში მართავს კონცერტებს აგრეთვე საესტრადო ბრიგადა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. მოსეშვილის ხელმძღვანელობით.

ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე მყოფ მეცხვარეებსაც არ ვივიწყებთ. რესპუბლიკის სახალხო არტისტის სტ. ჟაფარიძის ხელმძღვანელობით ჩვენი მსახიობები იქ იმყოფებიან.

გვეწვევიან საზღვარგარეთის სხვა კოლექტივებიც, ჩვენი ანსამბლებიც განაგრძობენ გასტროლებს; მაგრამ ამაზე „კომუნისტის" მკითხველებს შემდეგ მოვუთხრობთ.

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების სამჭედლოა. აქ ეუფლებიან სპეციალობებს მრავალი ეროვნების ახალგაზრდები.

სურათზე: პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი: მარცხნიდან მარჯვნივ — ლ. იულდაშოვა, ვ. პაპიძე, ო. კასრაძე, ვ. ხვედელიძე, ა. კოპიტოვი, ა. ოსეპიანი, ა. სმირნოვი, ნ. გაბიძე, გ. ფიჩხნარაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ი. ძიძიგური, რ. ფირცხალავა, თ. ნიკოლაიშვილი, ლ. ბერაძე.

ფოტო ს. ბილაძისა.

იშვიათი ოპერაცია

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულისა და სისხლძარღვების ქირურგიის ინსტიტუტში იშვიათი და რთული ოპერაცია გაუკეთეს ავადმყოფ მ-ს.

ავადმყოფი ინსტიტუტში მიიყვანეს ბურდენკოს სახელობის სამხედრო ჰოსპიტლის ინფარქტის განყოფილებიდან, სადაც სამი კვირის მანძილზე ექიმები ცდილობდნენ მ. გამოეყვანათ მძიმე მდგომარეობიდან მიოკარდის ინფარქტის გადატანის შემდეგ.

უკანასკნელ მომენტამდე ქირურგებს მთელი რიგი სიმპტომები აიძულებდნენ ეჭვი შეეტანათ დიაგნოზის სისწორეში. ქირურგები შიშობდნენ, რომ პარკუჭშორისი ძგიდის დეფექტის გარდა, მოწყვეტილი იყო კუნთიც, რომელიც უზრუნველყოფს მიტრალური სარქველის ფუნქციას. წინასწარ ავადმყოფი გულდასმით გამოიკვლიეს კონტრასტული ნივთიერების შეყვანით მარცხენა პარკუჭის ზონდირების გზით. ყველაფერი ეს ექიმებმა ოპერაციამდე გააკეთეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავადმყოფი ნარკოზქვეშ იყო.

გამოკვლევამ დაადასტურა თავდაპირველი დიაგნოზი, სახელდობრ ავადმყოფს მნიშვნელოვნად ჰქონდა გახეული პარკუჭშორისი ძგიდე.

ოპერაცია მიმდინარეობდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში. ძგიდის დეფექტი — ნახევრებიანი ჭრილობა 8X4 სანტიმეტრი დიამეტრით დაადეს ტელეფონის საკერებელი — სინთეზური მასალა, რომელსაც ფართოდ იყენებენ ახლა მედიცინაში. ამასთან კიდევ ავადმყოფს დაადეს თოთხმეტი ნაკერი და ამრიგად გაამაგრეს საკერებელი.

უკვე საოპერაციო მაგიდაზე ავადმყოფს დაეწყო ნორმალური სისხლის მიმოქცევა, მნიშვნელოვნად შემცირდა ღვიძლი. პირველი დღე-ღამის განმავლობაში გაქრა ფილტვების შეშუპების მოვლენები.

— ოპერაცია წარმატებით დამთავრდა იმ უდიდესი გამოცდილების მეოხებით, რომელიც ინსტიტუტის სპეციალისტებმა ღია გულზე 1.500-ზე მეტი ოპერაციის გაკეთების შედეგად შეიძინეს, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. ი. ბურაკოვსკიმ, რომელმაც ოპერაცია გააკეთა. — ოპერაციის ბრწყინვალე დამთავრება დამოკიდებული იყო ისეთი სპეციალისტების მწყობრ მუშაობასა და ხელოვნებაზე, როგორიც არიან გ. ი. ცუკერმანი, გ. გ. გელშტეინი, ი. ს. პეტროსიანი, ვ. დ. მალიშევი, მ. ე. კლამერი, ი. ვ. მარტინოვი, ვ. ე. ილინა, ა. დ. ლევანტი და სხვები.

ძალ-ღონე არ დაუშურებია სამედიცინო პერსონალს ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც. ამან ხელი შეუწყო ავადმყოფის სწრაფ გამოჯანმრთელებას.

— ოპერაციის შემდეგ ნახევარ წელზე მეტი გავიდა, — განაცხადა დასასრულ პროფესორმა ვ. ი. ბურაკოვსკიმ, — ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მიოკარდის ინფარქტის ამგვარი შემთხვევის მკურნალობის შედეგები ჩინებულია.

ზ. ხრომოვა,
(საკდესის კორ.).

სასამართლოს დარბაზიდან

შურიანი

ლხინი და ქორწილი გახშირდა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ზარანში მცხოვრებ შუშანა ბლუაშვილის ოჯახში. ასეც უნდა ყოფილიყო. ექვსი შვილი გაზარდა და დაaოჯახა შუშანამ. მრავალი ტოტი ჟავარი... ახლა შვილიშვილების ქორწილებსაც შეესწრო.

იმ დღისაც დიდი ლხინისათვის ემზადებოდა ბლუაშვილების ოჯახი. ახლად შეძენილი პატარძლის ნათესავები ჰყავდათ მოწვეული. შუშანა ბლუაშვილი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევში გათხოვილ თავის ქალიშვილს მ. ბლუაშვილს და სიძეს ღ. დევიძესაც მოელოდა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ სიძე-ქალიშვილმა ამჯერად დრო ვერ გამონახეს. და, სწორედ მაშინ, როცა წვეულებაზე მოპატიჟებულებმა ბლუაშვილების ეზოში ფეხი შედგეს, სოფლის ფოსტალიონმა თავზარდამცემი დეპეშა ჩააბარა ოჯახის უფროსს. სიძე ღ. დევიძე მწუხარებით ატყობინებდა დედას, რომ მისი ქალიშვილი გარდაიცვალა, ხილიდან გამოეცალა საყვარელი მეუღლე.

აბა ასეთ დროს ლხინისათვის ვისღა ეცალა. ყველაფერს ცივი წყალი გადაესხა. 12 კაცი დაუყოვნებლივ ავტომანქანებით გაემართა მაიაკოვსკისაკენ. გულდათუთქული ჭირისუფლები ტირილით მიადგნენ წითელხევში ღ. დევიძის სახლს. და... რაოდენ უსაზღვრო იყო მათი აღშფოთებაც და სიხარულიც, როცა მ. ბლუაშვილი ცოცხალი და უვნებელი დახვდათ.

ვერც ჭირისუფლები და ვერც შეკრებილი მეზობლები ვერ მალავდნენ თავიანთ გულისწყრომას. ის ადამიანი კი, ვინც ესოდენ მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა ბლუაშვილებისა და დევიძეების ოჯახს, შორიდან უთვალთვალებდა ყველაფერს, და რაკი ბინძურ მიზანს ასე მოხერხებულად მიაღწია, კიდევაც ზეიმობდა.

საგრძნობი დრო გახდა საჭირო, სანამ ავი ენის პატრონს გამოამჟღავნებდნენ. და ბოროტი და შურიანი მეზობელი, რომელმაც ასე უტიფრად დასცინა პატიოსან ადამიანებს, შეიპყრეს.

რაოდენ დასანანია, რომ იგი აღმოჩნდა შვილების პატრონი მერი გერმანეს ასული დევიძე. მეზობლებისადმი შურმა და ღვარძლმა გადაავიწყა ამ ქალს ოჯახიცა და შვილებიც.

რარიგ წვრილმანი და შიზღუდულია ამ ადამიანის საქციელი, მაგრამ რაოდენ დიდ გულისწყრომასა და გაკიცხვას იწვევს!

კიდევაც გაკიცხეს, საჯაროდ შეაჩვენეს ავისმქმნელი, რომლის საქმე ამას წინათ განიხილა ადგილზე, წითელხევის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ საზოგადო ბრალმდებლისა და საზოგადო დამცველის მონაწილეობით.

ბოროტ ხულიგანს მერი დევიძეს სასჯელის ზომად ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. განაჩენი, რომელსაც მოწონებით შეხვდა მთელი სოფელი, ძალაში დატოვა უმაღლესმა სასამართლომ.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალგაზრდობა

„დინამოს" რიტმით

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:0 (1:0). თბილისი. 2 მაისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ბ. ბალდასაროვი (ტაშკენტი).

„დინამო" — სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მჭედლიშვილი, გავაშელი, ლ. ნოდია;

„ტორპედო" — გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ქორიძე), ანფიმიადი (ასიტაშვილი), ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

დინამოელთათვის ეს უკვე მეორე მატჩი იყო, როცა არ თამაშობდნენ წამყვანი ფეხბურთელები. სამი ქულა ამ ორი შეხვედრიდან ცუდი შედეგი როდია, ისიც მაშინ, როცა ტრავმის გამო ზედიზედ მწყობრიდან გამოვიდნენ ცნობილი მეკარეები ურუშაძე და კოტრიკაძე და ეს პასუხსაგები უბანი ახალგაზრდა მეკარეს სტეფანიას მიენდო. მიუხედავად ამისა, გუნდი მართლაც ძალთა მთელი მობილიზებით, „დინამოს" რიტმით, გამარჯვების რწმენით იბრძვის. ყველაზე საიმედოდ თამაშობდნენ დაცვის ხაზები. სწორედ მათი წარმომადგენლები იყვნენ ორივე გოლის ავტორები. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც კარგად არიან ცნობილი, გვინდა მხოლოდ სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ვიხილეთ მოედანზე, კარგად შეეწყვნენ ანსამბლს, „დინამოს" რიტმს.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს", რომელიც ჩემპიონატზე ცუდად როდი გამოდის, ფეხბურთის მოყვარულნი მისგან მეტს მოელოდნენ, კერძოდ წინა ხაზისაგან და მეკარე გოგიასაგან.

დასაწყისში ბრძოლა მდორედ მიმდინარეობდა. მხოლოდ მას შემდეგ იმატა ტემპმა, როცა კუტივაძემ 35-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით დაახლოებით 18-20 მეტრიდან ეფექტური ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარში დინამოელთა ერთ-ერთ იერიშს რეხვიაშვილის მოულოდნელი დარტყმა და მეორე გოლი მოჰყვა.

ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა, დინამოელებმა გაიმარჯვეს 2:0.

ვ. გაბელია.

მატჩები, გოლები, ავტორები

2 და 3 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

2 მაისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა დედაქალაქის „ტორპედოსა" და „დინამოს" მატჩი. 29-ე წუთზე გერშკოვიჩის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. ეს იყო მოსკოვის დინამოელთა პირველი დამარცხება და პირველი გოლი იაშინის კარში.

მორიგი შეხვედრა ბაქოს „ნეფტჩის" საკუთარ მოედანზე ჰქონდა ოდესის „ჩერნომორეცთან" და გაიმარჯვა 1:0. 50-ზე წუთზე ბურთი ბანიშევსკიმ გაიტანა.

კიევის დინამოელებსაც საკუთარ მოედანზე ჰქონდათ მატჩი. მათი მეტოქე იყო ტაშკენტის „პახტაკორი". ორივე კარი ხელშეუხებელი დარჩა — 0:0.

ლენინგრადში თამაშობდნენ „ზენიტი" და ვოროშილოვგრადის „ზარია". გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 2:0. მეორე ტაიმში ბურთები გაიტანეს ბურჩალკინმა და ვიუნმა.

პირველი გამარჯვება იზეიმა დონეცკის „შახტიორმა", საკუთარ მოედანზე მოუგო ერევნის „არარატს". გოლის ავტორი ზახაროვი იყო.

მატჩი მინსკში ადგილობრივ „დინამოსა" და დონის როსტოვის სკა-ს გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

3 მაისს მოსკოვში თამაშობდნენ ცსკა-სა და ორჯონიკიძის „სპარტაკის" გუნდები. ფრე — 1:1. გოლების ავტორები იყვნენ პლახეტკო და ხუდიევი.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 5 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბ.)	9	5	3	1	14-6	13
ცსკა	8	5	2	1	15-2	12
„დინამო" (კ.)	8	5	2	1	8-4	12
„ნეფტჩი" (ბ.)	8	3	5	0	8-2	11
სკა (როსტ.)	8	4	3	1	8-4	11
„დინამო" (მ.)	7	4	2	1	12-1	10
„ტორპედო" (მ.)	9	3	3	3	9-10	9
„ზარია" (ვ.)	9	3	3	3	5-10	9
„არარატი" (ერ.)	8	3	2	3	5-5	8
„ტორპედო" (ქ.)	9	2	4	3	5-7	8
„სპარტაკი" (მ.)	8	1	5	2	10-10	7
„ჩერნომ." (ო.)	8	2	2	4	5-7	6
„ზენიტი" (ლ.)	8	2	2	4	7-11	6
„პახტაკორი" (ტ.)	9	1	4	4	6-18	6
„დინამო" (მნ.)	8	1	3	4	4-6	5
„შახტიორი" (დ.)	8	1	3	4	5-11	5
„სპარტ." (ორჯ.)	8	0	2	6	5-17	2

მეათეჯერ...

2 მაისს რიგაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალური მატჩი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ კრაკოვის „ვისლასა" და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდები. ამჯერადაც გაიმარჯვეს რიგელებმა 59:42 და მეათეჯერ მოიპოვეს თასი.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ლეიდენი. მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი განაგრძობს ლიდერობას ოთხი გროსმაისტერის მიკროტურნირზე. უკვე გათამაშდა 10 ტური. ბ. სპასკი ერთპიროვნული ლიდერია, მას 6 ქულა აქვს. მეცხრე და მეათე ტურებში მსოფლიოს ჩემპიონმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრები გროსმაისტერებთან მ. ბოტვინიკთან და ბ. ლარსენთან.

ბუდაპეშტი. საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდმა მოძმე არმიების ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა — 25 ქულა 36-დან. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გროსმაისტერები ე. გელერი, ე. ვასიუკოვი, ა. გიპსლისი, ე. გუფელდი და ოსტატი ი. კლოვანი.

ზაგრები. აქ ფინიში აქვს მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირს. გათამაშდა 15 ტური. ლიდერია ფიშერი, რომელსაც 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

პუზაჩის სამი გოლი

პარიზი, 4 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის ნაკრებმა (მეორე შემადგენლობა) გაიმარჯვა ანგარიშით 4:1 საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული კლუბის „ბორდოს" ფეხბურთელებთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2 მაისს ბორდოს მუნიციპალურ სტადიონზე გაიმართა.

ამ შეხვედრის გმირი იყო ანატოლი პუზაჩი, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. მეოთხე გოლის ავტორი იყო აფონინი.

მძლეოსნური სტარტები

იტალიის ქალაქ სესტო-სან-ჯოვანის მახლობლად საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ სიარულში დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა გამარჯვებით. პირველი ადგილი დაიკავა პ. ზელცერმა. მან 30 კილომეტრი გაიარა 2 საათში, 26 წუთსა და 49 წამში.

ბარსელონაში სეზონის საუკეთესო შედეგი იქნა ნაჩვენები 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში. მისი ავტორი იყო ესპანელი ჰ. ალვარესი. დრო — 8 წუთი და 41,2 წამი. ეს შედეგი ნაჩვენებია ესპანეთისა და ნორვეგიის მძლეოსანთა მატჩში.

ასპარეზობათა პანორამა

● მატჩი ვილნიუსში ადგილობრივი „ჟალგირისისა" და თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ვილნიუსელთა გამარჯვებით 2:0.

● შვერინში საბჭოთა და გერმანელ (გდრ) სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მატჩი დამთავრდა ჩვენი გუნდის გამარჯვებით. პირად შეჯიბრებაში უძლიერესები იყვნენ მოსკოველები ვ. ლისიცკი და ო. კარასიოვა.

● ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრებმა დაამარცხა პოლონელი ფეხბურთელები 2:0. ბურთები გაიტანეს ფაზეკაშმა და კარშამ.

● უნგრეთის ქალაქ სოლნოკში გამართულ სპიდვეისტთა საერთაშორისო ასპარეზობაში წარმატება საბჭოთა მოტომრბოლელებს — ხლინოვსკისა და სმირნოვს ხვდათ.

● პოლონეთის ქალაქ ოლშტინში სსრ კავშირის ჩემპიონმა ფრენბურთში ცსკა-ს ქალთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ტურნირში.

● შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრებმა საკუთარ მოედანზე მოუგო საფრანგეთის გუნდს 2:1.

● ისევე როგორც შარშან, ევროპის თასი ხმლით ფარიკაობაში მოიპოვეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის მოფარიკავეებმა.

● კალინინში ადგილობრივმა „ვოლგამ" დაამარცხა გორის „დილა" 2:0, ხოლო იაროსლავლში „შინნიკმა" — ბათუმის „დინამო" 1:0.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ბ. ი. ჯაფარიძე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ;

ამხ. ზ. ს. ჯაფარიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

ამხ. შ. ს. კობახიძე — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან;

ამხ. გ. ბ. კობალაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. ა. მ. მიქაუტაძე — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

ამხ. დ. მ. მამულაძე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

ამხ. ი. ი. ქურთოშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

კომუნისტი ეკრანზე

ნახეთ თბილისის ეკრანებზე

შუქი ჩვენს ფანჯრებში



სცენარის ავტორი — ს. ჟღენტი; დამდგმელი-რეჟისორი — გ. მგელაძე; როლებში: დ. აბაშიძე, გ. წიტაიშვილი, თ. თოლორაია, თ. წიკლაური, რ. კიკნაძე, ლ. ყიფიანი, ი. ბაკაკური, ნ. პირველი, ლ. მესხი, გ. ნარიმანიძე.

„ქართული ფილმის" ნაწარმოები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

6 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35—რ. ქარუხნიშვილი. ორი საფორტეპიანო პიესა, 06.50—„სოფლის დილა", 07.30—დილის კონცერტი, 08.30—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.30—რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.45 — უკრაინული სიმღერები, 12.30—ახალგაზრდობისათვის რადიოკომპოზიცია, „სიმღერის უკვდავება", 13.00—უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40—ო. გორდელი. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30—მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10—მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45—მ. მუსორგსკი. ნაწყვეტები ოპერა „ხოვანშჩინადან", 19.00 — ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა". საუბარი „მშრომელთა სამხედრო პარტიული აღზრდა", 19.15—ს. პროკოფიევი. კლასიკური სიმფონია, 19.45—სიმღერები ედიტა პიეხას შესრულებით, 20.00—უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30—რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00—„ძილისპირული 21.10—ო. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები, 21.45 — საუბარი „ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი!" 22.00 — მ. ამირანაშვილისა და ზ. ანჯაფარიძის კონცერტი, 22.50—უკრავს ივანოვ-კრამსკოი, 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

5 მაისი

11.05—სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე"—1942 წელი (ქართულ ენაზე), 12.55 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქმრები მივლინებაში", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30—განცხადებები, 18.35 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 19.05—კინონარკვევი, 19.15 — „მშობელთა ტელეუნივერსიტეტი", 19.35 — მრავალსერიიანი პოლონური მხატვრული ფილმი—„მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". II სერია (ქართულ ენაზე) 20.25 — „მოამბე"—საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „სატელევიზიო დარბაზი". ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა.

თეატრები

5. მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური—ბოჰემა (23-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური—სანამ ურემი გადაბრუნდება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — სკაპენის ოინები (№ 53 აბონ. დღის 3 ს. № 44 აბონ. საღ. 6 ს.), თოჯინების ქართული — თხუპნია (11 ს. 85-ე და 130-ე სკოლები, 1 ს. 1-ლი სკოლა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უа 08180 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.